ერის ღირსებაც და იმედი! გილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს-
გფარავდეთ მარიამ ღვთისმშობლის კალთა!

„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 2 (246) 2 მარტი, ოთხშაბათი, 2016 წელი; ფასი 1 ლ.



## გილოცავთ,
## სამშობლო დედით იწყება, სამშობლო და დედა ერთია, გაუფრთხილდეთ!

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ქალებო, დედებო, გილოცავთ ორთავ დღესასწაულს, თუმცა, სევდანარევი სიტყვებით, მაინც იმედით და იმის შეგნებით, რომ გვახსოვდეს: ქალი ღვთისმშობელია, სიცოცხლის წყაროა, დედაა, ოჯახის და ქვეყნის ბურჯია.

გამორჩეულია ქართველი ქალის ფენომენი, უსპეტაკესი სულიერი სამყარო, სარწმუნოება და სამშობლო! ნუ გამოვაცლით ამ დიდ საყრდენს საქართველოს, ნუ გადავხვეწავთ უცხო ქვეყნებში ჩვენს სიამაყესა და ღირსებას თუ კაცები ვართ და იმ ქვეყნის შვილები, ქალს რომ აღმერთებდა და იცავდა ათას ურჯულოთაგან.

„მე რა ღიირსი ვარ შენი მშვენების"- ეს მხოლოდ ქართველ კაცს შეეძლო ეთქვა და ზეცად აეყვანა ქალის ღირსება.

გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ ჩვენს ქალებს!

სევდიანი ფიქრები

## ქალთა გენოციდზე საქართველოში



## ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დედობა დიდი ვალია

გვ-7



## პაატა ბურჭულაძე ფოთში

„საქართველოს განვითარების ფონდი" რეგიონებში ფუძნდება

25 იმედის ნელი უიმედობის შლებით

გვ-2

## გულმხურვალე მილოცვები-
## ჩვენს დიდებულ ქალებს,დედებსა და მეუღლეებს







გვ-2




## მოკრძალებული იუბილეს გულმხურვალე გამოძახილი

## დიდი გადასახედი

გვ-3

საფლავში გადაბრუნდებიან ჩვენი წინაპრები

## საქართველო და ერთსქესიანთა ქორწინება?

გვ-7



## ვაგნერ მხეიძე-70

ძმაღნაფიცობის ფრიაღოსანი – ვაგნერ მხეიძე იუბილარია

გვ-4-5



## სპორტი

საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ჩვენი თანაქალაქელი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი, კომპანია „სოფმარის" გენერალური დირექტორი

**ვახტანგ ალანია**

ვულოცავთ

მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში





უცხო სამყაროში

## ნორჩ შემოქმედთა საახალწლო – საშობაო გამოფენა

გვ-6

## ეკა ბესელია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი



,,ფოთელო ქალებო, ჩემთვის დაუვიწყარია თქვენთან გატარებული დღეები".

ქალი, გაზაფხული, სიცოცხლე განუყოფელი სიმბოლოებია, სილამაზე გადაარჩენსო სამყაროს, ალბათ ქართველი ქალის განუმეორებელი ეშხი ფარავდა და კვლავაც დაიფარავს ქვეყანას. ქართველი კაცისათვის ქალი იყო სიცოცხლის, ღირსების ნიშანსვეტი, ოჯახის, ქვეყნის ბურჯი. აკი თქვა დიდმა ვაჟამ ,,ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო". მადლობა ჩვენს დედებს ამისათვის, დიდი შრომისა და ჯაფისათვის, თუმცა, ქვეყანა ვალშია მათ წინაშე-ბოლომდე არ არიან დაფასებულნი, და ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ხელი შევუწყოთ, განსაკუთრებით ახალგაზრდა დედებს, რათა ამრავლონ ქართული გენოფონდი - ქართული გენი და ფენომენი. მინდა მეტი ქალი ვიხილო პარლამენტში, ხელისუფლების ყველა შტოში, ქართველი ქალი ამას იმსახურებს. მე განსაკუთრებული სიყვარულით მინდა მივულოცო ეს დღესასწაულები ჩემს ულამაზეს ფოთელ ქალებს, ისინი გამოკვეთილი არიან ნიჭიერებით, მოქალაქეობრიობით, სიკეთით, სილამაზით. ჩემთვის დაუვიწყარია მათთან გატარებული დღეები, წლები. საერთო საქმეებისათვის თანადგომა, ქვეყანა წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაინც მიიწევს წინ და უპირველესად ეს ჩვენი ქალების დამსახურებაა.

მჯერა ხვალინდელი დღის და უკეთესი, გაბრწყინებული საქართველოსი.

ისევ თქვენი თანადგომითა და იმედით!

გილოცავთ!

იყავით ჯანმრთელნი , ბედნიერი, სიყვარულით აღვსილნი

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია: ,,მინდა საქართველოში ყველა დედა ბედნიერი იყოს"



ღვთისმშობლის წილხვდომ საქართველოში რომ დედა ღვთიური მცნებაა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ქართულ სულიერებაში, მატერიალურ თუ ზნეობრივ ფასეულობებში დედა ერთ-ერთი დომინანტია, რომელიც ჩვენი სიცოცხლისა და ყოფის მარადიული თანმდევია. ,,დედავ სიცოცხლის დიდო საწყისო"- ქართველი პოეტის ეს სიტყვები მრავლის მთქმელია და განმსაზღვრელი. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა ეტაპზე ისტორიულ ეპოქასა თუ ჟამთასვლაში, ჭირსა თუ ლხინში დედა იყო, არის და იქნნება ქართველოსბის, კაცთმოყვარეობის სათნოების, სიყვარულის, სიკეთის სინონიმი. დღესაც, როდესაც ქართული სახელმწიფო აღმშენებლობის ურთულეს აღმართს ადგას, დედის, ქართველი ქალის როლი და ადგილი საზოგადოებაში გამოკვეთილია.

საგულისხმოა რომ 3 მარტი-დედის დღე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში დაწესდა ეროვნული ხელისუფლების მიერ. ამ დღეს კიდევ ერთხელ გამოვხატავთ უდიდეს მოწიწებას და პატივისცემას დედისადმი, ყველა ქართველი და საქართველოში მცხოვრები მანდილოსნისადმი. მინდა ფოთელ ქალბატონებს მივულოცო დედის დღე, ვუსურვო დიდი სიხარული, დედობრივი ბედნიერება.

ფოთის ადგილობრივი მმართველობა-ქალაქის მუნიციპალიტეტის მერია, თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კვლავაც სოციალური კეთილდღეობის შექმნისა და არსებული ყოფითი პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. კვლავ განუხრელი ყურადღება დაეთმობა სოციალურად დაუცველი, მარტოხელა დედების თანადგომასა და მხარდაჭერის პროგრამებს.

ქალაქის მთავრობას ამ მხრივ არაერთი პროექტისა და აქტივობის განხორციელება აქვს გათვალისწინებული მიმდინარე წელს.

ჩვენო საყვარელო ფოთელო დედებო, სადღესასწაულო მილოცვასთან ერთად, მინდა გადაუჭარბებლად გახაროთ, რომ ჩვენი ქალაქი რეალური და საიმედო პერსპექტივის წინაშეა, რამაც თქვენს შვილებს ღირსეული ცხოვრების, სწავლის, შრომისა და აქტიური დასვენების, ფიზიკური და გონებრივი განვითარების ცივილიზებული პირობები შეუქმნას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს - დედის დღეს!

დედის სითბო, სიყვარული ამაგი და პატივისცემა არ მოკლებოდეს ფოთსა და ფოთელებს, სრულიად საქართველოს!

ბლიც ინტერვიუ

## ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია -,,ქალი სილამაზისთვის, სიყვარულისთვის და ერთგულებისთვის შექმნა უფალმა".



***-ბატონო ალექსანდრე რა არის თქვენი აზრით, ქალის ყველაზე დიდი ღირსება?***

- ქალი თავად არის სილამაზე, სიყვარული და ღირსება, მაგრამ მე მაინც გამოვარჩევ მასში უმთავრეს ერთგულებას ოჯახისადმი. ქალით იწყება სიცოცხლე, ქალის სინაზე და სიყვარული ათბობს და აკეთილშობილებს ირგვლივ ყველაფერს, მაგრამ საოცრებაა ქალი მებრძოლი, ჭირთა მთმენი, შეუპოვარი.ასეთი განსხვავებული თვისებების შეთავსება აქცევს ქალს სწორედაც განსაკუთრებულ არსებად და ეს არის სწორედ მისი სიმაღლე. ქალის უმთავრეს ღირსებად ერთგულება და ოჯახისადმი სიყვარული მიმაჩნია.

***-რამდენად ძნელია ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქალობა. რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვე ქალი ამ მოთხოვნებს?***

-საქართველო რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა ალბათ ამანაც განაპირობა ქართველი ქალის განსაკუთრებულობა, უნიკალური თვისებები. ქართველი ქალი გამოირჩევა გასაოცარი ერთგულებით არა მარტო ოჯახისადმი, არამედ ზოგადად ადამიანებისადმი. სტუმართმოყვარეობის მოკრძალებით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მტერს მტრულად დახვდეს და იყოს იქ სადაც სიძნელეებია. ვფიქრობ და ამაყი ვარ იმით, რომ თანამედროვე ქართველი ქალების დიდი უმრავლესობა მყარად დგას ძველ ტრადიციებზე, დიდი წვლილი შეაქვთ ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რადგან ქალი არა მარტო დედაა, მეუღლეა, არამედ საზოგადო მოღვაწეა, პოლიტიკოსია, მეცნიერია.ჩვენი საამაყო ქართველი ქალის თამარ მეფის შთამომავალს სხვა უფლება არც აქვს, ვინაიდან გენდერული თანასწორობა ქართველი ერისათვის არ არის სიახლე. იგი სათავეს ადრეული საკუნეებიდან იღებს.

***-ქართველმა ქალმა ისტორიულად იტვირთა ოჯახის გადარჩენის ფუნქცია. ჩვენი მანდილოსნები უცხო ქვეყანაში თავდადებულად მუშაობენ, რათა გადაარჩინონ ოჯახი, ქმარ-შვილი. რას იტყვით ამის შესახებ?***

-თანავუგრძნობ იმ ქალბატონებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი შრომით დაძლიონ ოჯახური სიძნელეები. სამშლობოდან შორს დაიცვან ქართველი ქალის ღირსება. არ შებღალონ სამშობლოს სახელი. მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ იღვაწონ, რომ შვილები დედების გვერდით ცხოვრობდნენ მისი უშუალო მზრუნველობით იზრდებოდნენ. ამიტომაც ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა სწორედ ეს არის, შეუქმნან მათ სამუშაო ადგილები.

***-როგორია თქვენი იდეალური ქალი?***

-იდეალური ქალი უპირველესად მიმაჩნია არის კარგი დედა, კარგი მეუღლე, ასოცირდება ასევე მაღალ ინტელექტთან, ზნეობასთან, სიკეთესთან და სილამაზესთან. ქართველი ქალი ადასტურებს იმას, როგორი ერთგულია ოჯახისადმი. შვილების მომავალზე ზრუნვით ქმნის ერის მომავალს.

**-თქვენი მილოცვა ფოთელ ქალბატონებს?**

-ქალბატონებო, მარტი გაზაფხულის დასაწყისია, ახალი სიცოცხლის დაბადების თვე. ამიტომაც ამ თვეს უკავშირდება-დღე დედისა და დღე ქალისა. იყავით მუდამ ლამაზნი, კეთილნი და მოსიყვარულენი. თქვენ ხომ მხოლოდ დიდი სიყვარულისთვის და ერთგულებისთვის შეგქმნათ უფალმა. არ დაივიწყოთ თქვენი უმთავრესი მისია. აღუზარდეთ შვილები საქართველოს.

## პაატა ბურჭულაძე ფოთში

### ,,საქართველოს განვითარების ფონდი" რეგიონებში ფუძნდება

### 25 იმედის წელი უიმედობის შედეგით



,,საქართველოს განვითარების ფონდის" დაფუძნებასთან დაკავშირებით ფოთს ეწვია მსოფლიოში ცნობილი უდიდესი მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი ბატონი **პაატა ბურჭულაძე,** სხვადასხვა დარგის სპეციალისტების თანხლებით.

ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მართლაც გულთბილი და საქმიანი შეხვედრა შედგა. ბატონმა პაატამ ისაუბრა ფონდის მიზნებსა და ამოცანებზე, იმაზე თუ რატომ მიიღო გადაწყვეტილება მისი აღმავალი კარიერის შეჩერებასთან დაკავშირებით. 25 წელია ვამკვიდრებთ ვითომ დემოკრატიას, ვითომ - დამოუკიდებლობას, ვითომ -ეკონომიკურ რეფორმას-, შედეგები სავალალოა, საარსებო პირობებიც არაა, ქართველები ტოვებენ საქართველოს 5 მილიონ ნახევრიდან მილიონ ნახევარზე მეტი მოქალაქე გასულია ქვეყნიდან და უმეტესობა ახალგაზრდობაა-ჩვენი გენოფონდი. შიმშილით იღუპებიან ათასობით ბავშვები, ბევრს დედა არც უნახავს, ისინი საზღვარგარეთ მონურ შრომას ეწევიან, მეკითხებიან სად იყავით აქამდე? აქამდე სულ იყო იმედი-გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანისვილი, უკვე იმედის ძაფიც გაწყდა. ეს ფონდი არაა პოლიტიკური ორგანიზაცია, მას სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს და თუ ეს პოლიტიკაა, ჩათვალეთ პოლიტიკოსები ვართ! სამ თვეში დავდებთ ჩვენს ხედვას პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ დარგში, წარუდგენთ მთავრობას, თუ არ გატარდება სათანადო ღონისძიებები, მაშინ მივიღებთ შესაბამის ღონისძიებებს ქვეყნის გადასარჩენად-განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ფონდის წარმომადგენლებს შეკითხვებით მიმართეს-დევნილმა აფხაზეთიდან **გიორგი ჩხოტუამ,** სამშობიარო სახლის ექიმმა-**რუსუდან დიასამიძემ,** ქალაქის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ - **გიორგი თაქთაქიშვილმა.**

შეკითხვებს უპასუხეს **ქეთი ნიჟარაძემ, დავით ჯანდიერმა**(მან მოიგო გირგვლიანების საქმე სტრასბურგში), **ხათუნა ლაძაგიძემ,** საქართველოს განვითარების ფონდის ფილიალის წარმომადგენელმა **გიორგი ვაჩეიშვილმა** და სხვებმა. სტუმრებმა წარმოადგინეს თავიანთი ხედვები ყველა მიმართულებით.

მწვავედ დაისვა საკითხი ფოთის პორტთან დაკავშირებით. ყოველწლიურად ასობით ადამიანები ტოვებენ სამუშაოს. ცენტრალურ ბიუჯეტში შეტანილი თანხებიდან მცირედი უბრუნდება ფოთს და ეს დაცინვაა საპორტო ქალაქისადმი, რომელიც სოფელს დაემგვანა. ეკონომიკური აღმასვლა ზღვიდან უნდა იწყებოდეს, ასე იყო დიდი ნიკოლაძის დროს. თვითმმართველობა ფორმალურადაა დამოუკიდებელი. იგი მიბმულია ცენტრალურ ბიუჯეტს, და მწირი თანხებით ვერ ახერხებს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მიუხედავად დიდი სურვილისა და მონდომებისა.

შეხვედრა იმედიან ნოტზე დასრულდა-ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა! მანამ კი ქართველი კაცი არსებობისათვის იბრძვის და სიცოცხლის წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა.

ი. ნარაძე

## მოკრძალებული იუბილეს გულმხურვალე გამოძახილი

# დიდი გადასახედი




შარშან აღინიშნა ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ბატონ ნუგზარ ნადარაიას დაბადების 70 წლის იუბილე.

ნუგზარ ნადარაიას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ აღმავლობაში, როგორც პარტიულ ლიდერს, პარლამენტარს, მეცნიერს. ,,ფაზისის" აკადემია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს კოლხეთის ისტორიის კვლევის საქმეში, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგულ ათასწლეულების აღდგენას ნიშნავს, მისი ინიციატივით წმინდანად შერაცხეს ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი- დიდი მეფის აღმზრდელი, ფოთში სამეგრელოს მოედანზე ბატონი ნუგზარის ინიციატივით დაიდგა ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლი, ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციის საქმეში, და, რაც მთავარია, ქრისტიანული რწმენისა და ეროვნული სულისკვეთების განმტკიცებაში.

დაუღალავი შრომის ორგანიზატორულ-ნოვატორული ნიჭით დიდი კვალი დატოვა ქვეყნის ცხოვრებაში, (ხობში მისი საქმიანობა ამის დასტურია.

დღეს, როდესაც წარსულის განქიქების და წინა თაობათა როლის დაკნინებებით არიან დაკავებული პარტიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, მართლაც უპრეცედენტო იყო ყოფილი პარტიული ფინქციონერის ნუგზარ ნადარაიას იუბილე რუსთაველის თეატრში, რომელსაც ესწრებოდა დედაქალაქის, რეგიონების ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა ფენის, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლები, რაც იმაზე მმიანიშნებდა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში SeiZ-ლება.

საიუბილეო ღონისძიებას უძღვებოდა ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნება, დიდი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ბატონი ნოდარ ჭითანავა, რომლის სიტყვას აქვე გთავაზობთ. ვფიქრობ იგი კარგი მასალაა ფიქრისა და განსჯისათვის, ქვეყნის საზოგადო ცხოვრების ხვალინდელი დღისათვის და ერთიანობის შენარჩუნებისათვის.

* * *

ბატონებო, ქალბატონებო

,,ფაზისის" საერო – სამეცნიერო აკადემია, თავის მორიგ, ამჯერად გაფართოებულ სხდომას ატარებს სახელოვანი თეატრის ამ დიდებულ დარბაზში. ნება მომეცით, სხდომის მონაწილეთა სახელით მადლობა გადავუხადოთ ბატონ **რობერტ სტურუას** მხარდაჭერისა და გულთბილი მასპინძლობისათვის. ეს მისი ინიციატივით მოხდა.

შევიკრიბეთ აკადემიის პრეზიდენტის, თეატრის მოღვაწეთა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირების წევრის, საზოგადო მოღვაწის და მეგობრის ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** დაბადებიდან 70 წლის აღსანიშნავად.

70 წელი, მოგეხსენებათ, დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებული მიჯნა არ არის. იგი სიმაღლეა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის თითქმის ყველა მონაკვეთი, ხილული და უხილავიც, დროის სიმკაცრეც და წარმატებაც, სასოწარკვეთილებაც და აღტკინებაც, ხელის ჩაქნევის დროებით მოძალებული განცდაც და დროსთან ადაპტირების სულისკვეთებაც.

ბატონმა ნუგზარმა თავისი ცხოვრების დიდი გზა სახელოვნად განვლო. იგი დღეს ანგარიშს აბარებს საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს, ოჯახს, კოლეგებსა და ამაყად აცხადებს - დამაკვირდითო „ორთავსოფელსა შინა რისი გაკეთება შევძელიო მამულის, ენის, მართლმადიდებლური მრწამსის განმტკიცება – აღმშენებლობისათვისო. კარგად და სწორად ამბობს და საზოგადოებას გულწრფელად თავაზობს მისი ცხოვრების და საქმიანობის საქვეყნოდ განსჯას.

ეს თამამი პოზიცია, სიმართლით, სიძლიერით, დამაჯერებლობით შემტკიცებული განცდაა ამაყი მამულიშვილისა. ბატონი ნუგზარი ბრძანებს: ცხოვრების რთულ გზაზე სუბიექტური გადაცდომებიც დამიშვიაო. ამბობს ამას არა მხოლოდ მონანიების მიზნით, არამედ თხოვნით - სხვებმა არ გაიმეორონ იგი. ეს საზოგადო მოღვაწის სიტყვებია, მოყვასში პრინციპებისა და იდეალების ერთიანობის, ერთსულოვნებისა და უანგარო თანადგომის დამნახავი კაცისა ე.ი. მართალი კაცის მკაცრი ცხოვრებიდან შეძენილი სიბრძნეა. ნათქვამია, მართალ ქართველ კაცზე დიდი კაცი მთელ დუნიაზე არ არისო.

არასოდეს ივაჭრო დროით, შენი მდგომარეობით და დროებითი გამარჯვებით სარგებლიანობის მიღების არჩევანითო – ამბობს ბატონი იუბილარი. და სწორადაც ამბობს. ეს სიტყვები დროული გაფრთხილებაა მათი, ვისაც მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი, უფრო მეტიც, ქვეყნის ცხოვრებაც მხოლოდ მათი მოსვლის დღიდან იწყება, ვისაც არ ესმის, რომ „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ბრძანებდა დიდი ილია.

საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა ადამიანების როლისა და დამსახურების შეფასების საკუთარი ან გარედან თავსმოხვეული სტერეოტიპი, რომელიც კრიტერიუმების ერთობლიობას ეფუძნებოდა და დროის მოთხოვნების შესაბამისად იცვლებოდა. ისიც ცნობილია, რომ ადამიანების ღვაწლის შეფასების სიძნელეები ყველაზე მეტად იჩენს თავს ექსტრემალურ პირობებში. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა დღევანდელ საქართველოში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ძველი და ახალი შეხედულებები და პოზიციები, განსაკუთრებით დამსახურებული ადამიანების შეფასებისას იმძლავრა შურმა, დაბეზღების ინსტიქტმა, შურისძიების მოტივაციამ. ცნობიერებაზე ზემოქმედების თანამედროვე მეთოდებით პრესინგის ქვეშ მოქცეულ საზოგადოებაში მეტად რთულია ადამიანების, მით უფრო, წინა ეპოქაში მოღვაწეთა ღვაწლის მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ, დამსახურებისამებრ შეფასება და მათთვის ჯეროვანი ადგილის მიკუთვნება. საზოგადოება ხელოვნურად გაიხლიჩა ძველებად და ახლებად. მავანთა მცდელობით წინა ეპოქის დამსახურებული ადამიანები საზოგადოების კორუმპირებულ, ჩარეცხილ ფენად ჩათვლით, ძირშივე ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოებისა და ეროვნული თანხმობის ფუძემდებლურ პრინციპებს.

ასეთ ფონზე დღევანდელი შეხვედრა ერთგვარი პასუხია ახალ გამოწვევებზე. მამულიშვილებს პატივი უნდა მივაგოთ – ესეც ბუნების კანონია. მოვუსმინოთ იაკობ გოგებაშვილს: იგი 1910 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთში" წერდა: „იუბილეების გამართვა არსად არ არის ისე საჭირო, როგორც ჩვენს სამშობლოში. იუბილე საზოგადო მოღვაწეებს, ადამიანებს მეტად ამხნევებს, ძალას მატებს და მეტს აკეთებინებს...

იუბილარის შესახებ ბევრი ითქვა, მომავალშიც იტყვიან. ერთი რამ ცხადია, ბატონმა იუბილარმა რთულ გზაზე ამაყად გამოატარა მამულიშვილობის მძიმე ტვირთი და დღესაც დიდი ენერგიით, მგზნებარებით, შინაგანი რწმენით, ქართველი კაცის „გულის ძგერით" ეროვნულ საქმეს ემსახურება. მადლობა მას ასეთი მაგალითისთვის.

ბატონი ნუგზარი დროში არ ჩარჩენილა, რაც მთავარია, ლუკმის გადმოგდების იმედით უარი არ უთქვამს საკუთარ და ქვეყნის წარსულზე. იგი ქვეყნის წარსულის, დღევანდელობის და მომავლის მთლიანობის უდიდესი მნიშვნელობის სწორად აღქმის კარგი მაგალითია. მადლობა მას ამისთვის.

და ბოლოს. დღეს ბატონი ნუგზარის სახით, იუბილარია მთელი თაობა, რომლის ორგანული ნაწილი თითეული ჩვენთაგანია. თაობა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, ქართული ფენომენის შენარჩუნება-განვითარებაში და პირნათლად მოიხადა საკუთარი ვალი ქვეყნის წინაშე. ეს ის თაობაა, რომელიც მუდამ შემართული, ორიენტირებული იყო ახალ მატერიალურ და მორალურ ფასეულობათა შექმნაზე და არა ადრე შექმნილის მოხმარებაზე, სიტყვებისა და საქმის ერთიანობასა და ორგანიზებულობაზე და არა გათითოკაცებაზე, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე და არა ცალკეული პირების, ჯგუფების მტაცებლური ინტერესების მომსახურებაზე, ძლიერქართულ სახელმწიფოზე და თვითმყოფად ეროვნულ კულტურაზე და არა კლანური სტრუქტურების ეგოისტური მიზნების განხორციელებაზე.

ასეთ თაობას, მის ყველა ღირსეულ წარმომადგენელს, თითოეულ თქვენგანს დროსა და სივრცეში აღიარება ეკუთვნის, დამსახურებული მოფერება.

ერთმანეთს ვენდოთ, მოვეფეროთ, სიცოცხლეშივე ვუთხრათ ერთმანეთს სათქმელი – ეს ის რესურსია, ჩვენი აზრით, სტრატეგიული რესურსი, რომელსაც უფრო დიდი ძალა აქვს ვიდრე გარედან შემოთავაზებულ სესხებს, ჰუმანურ დახმარებებსა და ცრუ დაპირებებს და მრავალ სხვას, რომლითაც ილუზიებში აღმოჩნდა საზოგადოება.

გვახსოვდეს, რომ მოფერებისათვის, კაცობისათვის, მამულიშვილობისათვის კაბალური კრედიტების აღება არ არის საჭირო და არც პოლიტიკური მევახშეობის წინაშე მონური მორჩილება.

ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ იუბილარს, თითოეულ თქვენგანს. ვიყოთ ამაყნი ჩვენი წარსულით, ვიყოთ მართალნი დღევანდელობის წინაშე, ვიყოთ იმედით მომავლისათვის.

სოფლის მეურნეობის, ფაზისისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე
ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა

2015 წლის 26-27 თებერვალი,
ქრისტეშობიდან
თბილისი, მცხეთა, ფოთი

## ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის მორიგი სხდომა

# ,,ევროპის ქალები უკეთესი მომავლისათვის", თემა: გლობალური დათბობა, კლიმატური ცვლილებები, მზის და ქარის ენერგიის გამოყენება



,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის მორიგი სხდომა, რომელიც ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი ნუნუ ჭელიძე) შენობაში გაიმართა, შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ფოთის სათაო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა დოდო ხუხიამ.

მოხსენებით ,,გლობალური დათბობა და კლიმატური ცვლილებები" გამოვიდა საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ევროპის ქალები უკეთესი მომავლისათვის" წარმომადგენელი საქართველოში, ჰოლანდიელი ანა სამველი, სხვათაშორის იგი ცნობილი ფოთელი მეცნიერის ოთარ ქირიას რძალია, ამჟამად თბილისში ცხოვრობს მეუღლესთან ერთად. ქალბატონმა ანამ ვიდეო-აუდიო მასალის თანხლებით ახსნა მოსალოდნელი კლიმატური ცვლილებების სავალალო შედეგები. (შესაძლოა ყინულოვანი გარსის 20%-ით გადნობა,) მან ისაუბრა ასევე მზისა და ქარის ენერგიის გამოყენების აუცილებლობაზე, ჰიდროელექტრო სადგურების პრიორიტეტზე, ელექტრომობილების გამოშვების დაჩქარებაზე, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას. ამ სიახლეების ჩვენს ქალაქში დანერგვის პერსპექტივაზე ისაუბრეს ჭაბუკი ქოიავამ, ჯემალ გერსამიამ, კორნელი სართანიამ, ნაპო თოდუამ. ვაგნერ მხეიძე-აკადემიის სამეგრელოს ორგანიზაციის კოორდინატორმა დამსწრეთ გააცნო ,,ფაზისის" აკადემიის წინა სხდომაზე ახალი ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით ჯემალ გერსამიას ინიციატივის განხილვის თაობაზე გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სტატიის შინაარსი. ასევე გამოთქვა მოსაზრება აკადემიამ აღნიშნულ საკითხზე წერილი გაუგზავნოს მთავრობას, პრეზიდენტს, პარლამენტს, რათა სახელმწიფო დონეზე განიხილონ ფოთელთა წინადადება, ახალი პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ქვეყანა დიდ სარგებელს ნახავს.

## ვაგნერ მხეიძე-70

# ძმადნაფიცობის ფრიადოსანი – ვაგნერ მხეიძე იუბილარია



70 წელი ის დიდი გადასახედია, საიდანაც უკან მოხედვის არ ეშინია, იყო წარმატებები, წინააღმდეგობებიც, სულ სირბილით ვერ ივლი კაცი, მაგრამ იყო ამაღლებაც ღვთის შეწევნა და გამარჯვება.

ყოველივე სათავეს ოჯახში იღებს. საიდან მოდიხარ, ვისი გორისახარ. უჩა მხეიძე დიდებულ მეუღლესთან ქალბატონ გოგუცასთან ერთად ღვთიური, მამულიშვილური სულისკვეთებით აღზარდა სამი შვილი. რომელთაც ცხოვრების დიდი გზა სახელოვნად განვლეს და ღირსეული ადგილი უჭირავთ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მართალია, დღეს აქ არ დგას ის პატარა სახლი, სადაც პატარები დანავარდობდნენ და დედ-მამა დიდი სიყვარულით თავს ევლებოდა მათ, მაგრამ არასოდეს განელდება წარსულის დღეები-არ დაიჩრდილება მშობლების ხსოვნა.

-დღეს აქ დიდი სტუმრობაა, ეს ფორმით და შინაარსით მართლაც დიდი ოჯახი დიდებული დიასახლისის ქალბატონ დოდო ხუხიას მონდომებით ჩინებული მასპინძელია, ეს ოჯახი სახეა ჩვენი ქალაქის სტუმართმოყვარეობისა, არნახული სუფრით და თამადობის განუმეორებელი ტრადიციებით. ვინ არ ყოფილა აქ-დიდი პოლიტიკოსები-შევარდნაძე, ჟვანია; დიდი მწერლები ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ ფანჯიკიძე; ცნობილი მსახიობები-კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი; კომპოზიტორები - ვაჟა აზარაშვილი; მსოფლიო მოგზაური-კაცი ლეგენდა ჯუმბერ ლეჟავა; შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა. ყველა ქალაქის ღონისძიებების შემდეგ აქ იმართებოდა ბანკეტები-ეს იყო სუფრა სპექტაკლი, რომელიც დიდხანს შემორჩება მეხსიერებას.

ბატონ ვაგნერს ეამაყება, რომ მისი ცხოვრების განუმეორებელი თანამგზავრია ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ბატონი **ნუგზარ ნადარაია**-რომ იტყვიან კარის მეზობლები, თანაკლასელები, დღესაც ისევ ხელი-ხელჩაკიდებული მიუყვებიან ცხოვრების ლაბირინთებს, მეგობრობის 65 წელი! იქნებ მეტიც- ფეხისადგმის დღიდან ერთმანეთს ხელს აშველებდნენ და ასე მოდიან დღემდე -კაცობით, სიყვარულით, სამშობლოს, ხალხის მსახურებით.

ბატონ ვაგნერს ეამაყება რომ ულვაწია ქალაქის აღმშენებლობისთვის, რომ ის იყო ცოტნე დადიანის ძეგლის მშენებლობის შტაბის ხელმძღვანელი იმ მეტად მძიმე დროში, იგი გვერდით ედგა ბატონ ნუგზარს ,,ფაზისის" აკადემიის საქმიანობაში, რომელიც ღირსეულ სიტყვას ამბობს კოლხეთის ისტორიის კვლევის დარგში. გამორჩეული ძმადნაფიცები ,,ცოტნეობის" ,,ჭყონდიდლობის" დღესასწაულის უცვლელი სტუმრები არიან, ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებიან როგორც განუყრელ მეგობრებს, დიდ ცოტნეიდელებს.

ბატონმა ვაგნერმა ყველაზე დიდხანს კოლხიდმშენში იმუშავა. მელიორაციის საქვეყნო საქმეს მოახმარა მთელი ძალი და ღონე, როგორც კარგმა მშენებელმა და ორგანიზატორმა.

აღსანიშნავია ვიცემერობისა და საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელობის პერიოდი. სადაც იმუშავა, ყველგან ხალხის სიყვარული მიაცილებდა. მას უამრავი სამეცნიერო შრომები აქვს ზღვისნაპირსამაგრების, რიონის წყალგამყოფის რეაბილიტაციის, წყალსადენ-კანალიზაციის და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, სადაც ნათლად ჩანს გამოცდილება, ნიჭიერი ინჟინრის ხედვა.

ცხოვრების ციტადელი მართლაც ოჯახია-მეუღლე კარგი სპეციალისტი-ხელოვნებათმცოდნე დოდო ხუხია გვერდში უდგას მას, რასაც უნდა უმადლოდეს დიდ წარმატებებს, შეუფასებელია ქალბატონ დოდოს ღვაწლი ქალაქის კულტურის დარგში მოღვაწეობისას, ასევე აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ,,ფაზისის" აკადემიის ფოთის სათაო ორგანიზაციაში.

სამი სასახელო შვილი აღუზარდეს მამულს.

ნინო ევროკომისიაში მუშაობს.

გვანცა ქალაქის კულტურის სამსახურში მოღვაწეობს, უჩა რკინიგზის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტია.

მათი დაოჯახების მოლოდინშია მშობლები, ახლობლები, ქალაქი.

ამ დიდ ოჯახში დედმამიშვილობის ღვთიური მადლი ტრიალებს, მადლი სიყვარულის, აქ ყველაფერი სიყვარულით სუნთქავს.

ეამაყება ბატონ ვაგნერს კონსტანტინე და დავით მხეიძეების თავდადება... თითქოს ძაფი არ წყდება, ისევ ის სულისკვეთება და თავდადება, ცხოვრების გზა ხალხის გულებისკენ მიდის.

ამ განწყობით, სულისკვეთებით ვულოცავთ ბატონ ვაგნერს დიდ იუბილეს, დაე კვლავაც ეღვაწოს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

* * *

### მილოცვა

საბედნიეროდ განგებამ ისე ინება, რომ ფოთში (ისტორიულ ფაზისში) ჩვენი მამა-პაპისეული ძირძველი ოჯახები, გვერდიგვერდ სახლობს. ბუნებრივია, ჩვენი მეზობლობა და მეგობრობაც ყმაწვილობის წლებიდან დაიწყო... ორთავეს დღემდე გვეამაყება, როცა მეგობრულ სუფრასთან მყოფი ვიგონებთ, რომ გულმხურვალე, უანგარო მეგობრები, ღვთის წყალობითა და შეწევნით მრავლად გვყავს საქართველოში და მათ შორის ქვეყნის დედაქალაქ თბილისში. მეგობრობის სტაჟით კი მუდამ რეკორდსმენები ჩვენ აღმოჩნდებით ხოლმე. მისასალმებელია და სიამაყით აღგვაფრთოვანებს, რომ სამეგობროდ გაწვდილი ხელი, მკვლავი და გული ორივე მხრიდან ოჯახების ერთსულოვნებით ერთმანეთისადმი ერთგულების გამოსახატავად მუდმივ შეჯიბრშია, რადგან იგი გაცისკროვნებულია უანგარო, ხალასი სიყვარულით. ძმობის დევიზი როგორც თავიდან იყო, დღემდე უცვლელია – მოდით ძმებო, მამულის, ენისა და მართლმადიდებლობის ერთგულებასა და სიყვარულში შევეჯიბროთ ერთმანეთს, ჰოდა, მართლაც არა-რა სჯობს ამას ამერ-იმერში. ლიხნს იქით და ლიხნს აქეთ - სრულიად საქართველოში... მადლობა მაღალ ღმერთს, უფალს – იესო ქრისტეს ამ მადლისა და წყალობისათვის... ქრისტესმიერი მრწამსი საბედნიეროდ ხომ გულწრფელ, უანგარო სიყვარულშია ჩაქარგულ-ჩაკირული. ამინ! ეს ის საბედნიერო შემთხვევაა, როცა ჩვენ - მე და იუბილარმა გულმხურვალე ცოტნეიდელმა ვაგნერ მხეიძემ, ოჯახებთან, და-ძმებთან, შვილებთან ერთად გულით მივუძღვენით ერთმანეთს ძმადნაფიცობა და რაც მთავარია, მავანთა სამწუხარო გულის შემძვრელი მედროვეობით არც თავი, გვარი, ოჯახი და შთამომავლობა არ შეგვირცხვენია ამ სადღეისოდ მომძლავრებული სახადი ჭირით – მომხმარებლური სინდრომის დაშვებითაც კი... ეს ეშმაკეული „პირმშოს" - შხამიანი გველის მოდგმას სჩვევია პერიოდულად მისი არსებობისა და შთამომავლობის შესანარჩუნებლად კანის გამოცვლა, ხელთათმანისა თუ გუშინდელი უახლესი მეგობრის სადღეისოდ, მხოლოდ უსარგებლობის მიზეზით ზურგშექცევით გამოცვლის მსგავსად... როგორც იტყვიან - ასეთი არსებების შექმნასა და მოვლინებაში საბედნიეროდ მართლაც და ღმერთი არ მონაწილეობს... რადგან ღმერთი სიყვარულია. უფალი გვაერთიანებს, გვრაზმავს, აღგვაფრთოვანებს, ქვეყნის, ერისა და დედაეკლესიის აღმშენებლობისთვის სამოქმედოდ განგვაწყობს. ამინ! ამიტომაცაა, რომ ჩვენ ალალად, დიდი გულისყურით მივენდეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს – წმინდა ილია II აღმშენებელს. საბედნიეროდ მის ქადაგებებშია ის ცხოვრებისეული საგზალი, რომლის ყოველდღიურად აღსრულება ანათებს ბნელს,. რადგან ღამე იგი მიიწურა და იქმნა მზიანი ღამეც ღვთიური ნათელით დამშვენებული...

აი ასე ვცხოვრობდით, ასე ვმეგობრობდით, ასე გვიყვარდა, გვწამდა და გვწამს დღესაც ერთმანეთის და შედეგად მუდამ ვიმარჯვებთ...

ვინ არის ვაგნერ მხეიძე განვლილი 70 წლის გადასახედიდან.... ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, თუ გიწამა, რომ იტყვიან - უანგაროდ „ხელის გულზე კვერცხს შეგიწვავს". პირადი მაგალითის ძალით შენშიც ანალოგიური თავდადების აღმძვრელი და კატალიზატორი, მისი სულმანთი მშობლებისა და წინაპრებ-ახლობლების საუკუნო ძვალშესალაგი საფლავების სანიმუშოდ მომვლელი, გულმხურვალე ცოტნეიდელი: „აღმსარებელი მცნებისა უფლისა და დამდებელი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის." საქართველოს ზნეობრივი, ეროვნული გმირის დიდი ცოტნე დადიანის პირველი ძეგლის მშენებლობის შტაბის კურატორი ფოთში (ისტორიულ ფაზისში). ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სამეგრელოსა და ფოთის სათაო - რეგიონალური ორგანიზაციის კოორდინატორი, ძმობაში და საქმეში უღალატო, თავდადებული პატრიოტი, კრისტალური პატიოსნებით დამშვენებული. ისაა სანიმუშო მეუღლე, ღირსეული შვილების მისაბაძი მამა, რომ იტყვიან მართლაც პიროვნება დროში. სამართლიანობის გასამარჯვებლად, პრინციპული და უკომპრომისოდ შემტევი, ალალი და დამთმობი, ქრისტიანისთვის მშვენი, მამულიშვილობით გაბრწყინებული, უანგაროდ მიმტევებელი და გულწრფელად შერიგება – თანხმობის, მშვიდობიანად დაზავების დიდოსტატი, გაჭირვების საიმედო ტალკვესი, კაცი ჩემპიონი, მიბაძვის ორიენტირი და მეტრი...

მან და მისმა ოჯახმა დიდხანს უნდა იცოცხლოს და გვაცოცხლოს, იბედნიეროს და გვაბედნიეროს, გაიხაროს და გაგვახაროს. მრავალჟამიერ მართლაც და მხოლოდ აი ასეთი უანგარო და უღალატო ძმობისა და გულმხურვალე ცოტნეიდელობისთვის ღირს სიცოცხლე აწ და მარადის და უკუნისით უკუნისამდე, ამინ! ერთი წუთით, რომ წარმოვიდგინო განვლილი და გასავლელი ცხოვრებისეული მატიანე ვაგნერ მხიეძისა და მისი ოჯახის თანადგომის გარეშე ეს შეუვსები დანაკლისი და დიდი უსამართლობა იქნებოდა სააქაოში, რასაც, გულითა და სულით მწამს, მაღალი ღმერთი არ დაუშვებს, ჰოდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რა სჯობს ამას... ამინ!

ამიტომაცაა, რომ გულისყურით მივენდეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II აღმშენებელს, როცა იგი გვმოძღვრავს ქადაგებებში: „შენი წინაპრები, მათ შორის, პირველ რიგში, დედა, მამა, დიდედა თუ პაპა მანამდე ცოცხლობენ, სანამ მათ სააქაოში მოიხსენიებენ, ღვინის სასმისიც და საკურთხი მათი სულის საცხოვნებლად შემზადებული გაანათლებს მიცვალებულთ და ზეციურ სასუფეველში შეავსებს მათი მარადიული ხსოვნის თასს.

ყოველივე ზემოთ თქმულის ცოცხალი გამოხატულებაა. ბატონ ვაგნერ მხეიძის მისაბაძი მოღვაწეობა. ამინ!

გვჯერა, დაგვეთანხმებით, რომ სინდისი ეს ღვთის ხმაა შენს გულსა და სულში აღმოცენებული და ჩაქარგული. უსამართლობასთან შეგუება, მით უფრო, მშვიდობიანი თანაარსებობა, თავად არის ბოროტებასთან შეგუება, რაც დიდი ცოდვის შემცველია, ამიტომ ღირსეული ადამიანი უნდა შეებრძოლოს ბოროტებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოროტების ხელშემწყობი გახდება, რაც ჩვენში ყოველგვარი ეშმაკეულის დაბადებას ნიშნავს და რისთვისაც დღენიადაგ თავადვე მიისწრაფის ბოროტება, ამაზე კი სისტემატურად დაფიქრება მართებს ადამიანს რომელი გზა აირჩიოს ცხოვრებაში უსამართლობასთან, უზნეობასთან, ბოროტებასთან შემგუებლობისა, თუ მის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოქმედების გზა? ამასთან, მნიშვნელოვანია ცხოვრებაში წამოჭრილი ყოველი პრობლემის გარშემო რკინისებური ლოგიკის საფუძველზე, მიზეზ-შედეგის გაანალიზებით, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მხოლოდ სიკეთის სასარგებლოდ. ადამიანები შეცდომებს ხშირად სუბიექტური ემოციების გამო ვუშვებთ, არ ვფლობთ რა ამომწურავ ინფორმაციას წამოჭრილი წინააღმდეგობის, თუ გადასაჭრელი პრობლემის გარშემო... არ უნდა დავივიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ ცხოვრების მორევში დინების საწინააღმდეგოდ ცურვისას, რადგან „მხოლოდ მკვდარი თევზი მიყვება დინებას"... ამიტომაცაა რომ ასეთი ადამიანები წინსვლის ნაცვლად უკანვე, წარსულში მიექანებიან... ცხოვრებაში როცა გაჭირვებისას შენ ვერ ირჩევ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ღირსეულ გზას, მიენდე ერთგულ, საქმით გამოცდილ მოყვასს და მის რჩევებს. თან ნუ დაივიწყებ, იქვეა ჩასაფრებული ბოროტეულიც, რომ დაიბუდოს შენში, შეგაცდინოს და დაგღუპოს. გჯეროდეთ, ვერასდროს იხილავთ ზეცაში იმედის ცისარტყელას, ღვთის ხსნის ზეციურ ნიშანს, თუ მუდამ ყმა-მონასავით თავდახრილი, მუხლებზე დაჩოქილი ხოხავთ და მუდამ მიწას დაჰყურებთ, ამიტომ ნუ იქნებით „მდაბალნი სულითა და ცოდვილნი, მოშიშნი ხორცითა..." ჭეშმარიტების მისაგნებლად და ბოროტებასთან შენი სიმართლის გასამარჯვებლად, ღვთის მადლის, ღვთის ნიჭისა და ღვთის ძალის შენზე გადმოსასვლელად შენივე სიკეთითა და სულიწმინდის ტაძრად ქცეული გულითა და სულით თავად უნდა იყო ღირსებითა და რწმენით მზად... ამქვეყნიური ბედნიერება სიყვარულსა ერთგულება-თავდადებაშია საიმედოდ ჩაქარგულ-ჩაკირული. იგი იხსნის მსოფლიო ცივილიზაციას, განავითარებს რა მას.

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილი ნააზრევის ნათელი გამოხატულებაა იუბილარის, ჩემი ძმადნაფიცობის ფრიადოსანის ბატონ ვაგნერ მხეიძის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა...

მართლაცდა, „ნეტარნ არიან, თვინიერნი და მოწყალენი, გადამრჩენი რჩევითა"... „ნეტარნ არიან გულწრფელნი და სუფთა გულის მქონენი", რასაც სჭირდება სუფთა ხელები, განწმენდილი სული და გონი, სიმამაცე, თავდადება ცხოვრებაში, თუ შეიქმნება საჭიროება, თავგანწირვაც კი ბოროტებაზე სიკეთის გასამარჯვებლად. ფარისევლობასა, ორგულობასა და მუხანათობაზე ე.ი. შადიმან ფარსადანობაზე სიმართლის, ჭეშმარიტების, სამართლიანობის ე.ი. ჭყონდიდელ-ცოტნეიდელობის გასამარჯვებლად. ამასთან, გახსოვდეთ, საჭირო დროს საჭირო კაცის საჭირო რჩევა, შველის მაძიებელი და მომლოდინე მოყვასისათვის ვერ აიწონება ვერც ოქროთი და

(გაგრძელება მე-5 გვ)

## ვაგნერ მხეიძე-70

# ძმაღნაფიცობის ფრიაღოსანი – ვაგნერ მხეიძე იუბილარია



სალხინო, დადიანების ეტლით მიაცილებენ იუბილარებს

ვერც შეფასდება ფულადი ღირებულებით... იგი ღვთიური, ხსნის უძლეველი მარადიული მადლია, ჩვენზედ გარდმოსული, სიმართლისათვის ბრძოლის სურვილის გამარჯვებისთვის ძალის მომნიჭებელი. ყოველივეს კი, ნუ დავივიწყებთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, ღვთის ხატო და სახებავ, ადამიანო! დავიმახსოვროთ, რომ „სინანული დაშვებული ცოდვების მონანიებაშია და იგი არ გადავდოთ ხვალისთვის, ვინაიდან წუთისოფლის სტუმარი ვართ და ამან უნდა დაგაფიქროს, რადგან, როცა გარდაუვალი სიკვდილი დგება, მხოლოდ მაშინ თავისუფლდება სრულად ბოროტი ადამიანი შურისა და სიძულვილისაგან, კეთილ, მორწმუნე ადამიანს ბოლომდე იცავს მფარველი ანგელოზი. ამინ! ბოროტის ადგილსამყოფელი საიქიოში ჯოჯოხეთში, კეთილის კი სამოთხეშია. ამინ!...

ცხოვრებაში მთავარია დააფასო ის, რაც შენთვის გააკეთეს და სათანადო პატივი მიაგო მათ, ვინც ეს გააკეთა, რადგან ყველაზე დიდი ცოდვა უმადურობა და მედროვეობაა. სულ სხვის „მოწველას“ ნუ შეეცდები, მუდამ ნუ გექნება, ხელი გაშვერილი. დახმარების ძახილითა და მოლოდინით. შენ თავს შეახსენე, რომ ოდესმე შენც უნდა გახდე მოყვასისა და გაჭირვებულისთვის დამხმარე, უანგარო სიკეთის კეთებით ბედნიერი.

ემსახურე ღმერთს, მამულსა და მოყვასს, ილოცე მათთვის და იმათთვისაც, ვინც უსამართლოდ მოგექცა, გული გატკინა და გიღალატა... ღმერთი მაღალია და ჩადენილი ცოდვა-მადლი მუდამ განკითხვისა და დალოცვის მოლოდინით, მიზეზშედეგის რკინისებული ლოგიკით, გარდაუვალობაშია. ემსახურე სიკეთეს, სამართლიანობის აღდგენას, სიმართლეს, ეს ზნეობრივი ფასეულობები მარადიულია, უკვდავია, რაც არ უნდა ღრმად დამარხონ, კვლავ დაიბადება და იქ გამოგეცხადება, სადაც არ ელი, მაგრამ გულით ოცნებობ და გსურს. დამეთანხმებით, კომპრომისი ნებისმიერი სახით თუ დოზით მორალთან, ზნეობასთან, სიმართლის მსახურებასთან ყოვლად დაუშვებელია. ქართველობა და მართლმადიდებლობა იდენტურია, ნებისმიერი კომპრომისი დიდი, გამოუსწორებელი ცოდვაა და ერთადერთი ხსნა სულიწმინდის ტაძრად ქცეული სულის გადასარჩენად, ამ ბოროტებასთან გამიჯვნაში, მხილებასა და უკომპრომისო ბრძოლაშია. სამყარო არ არის დაყოფილი ცუდებად და კარგებად, ყოველ ადამიანშია ნათელი და ბნელი. აქ განმსაზღვრელია არჩევანი სიკეთის, აღმშენებლობის, სიყვარულის...

იუბილარმა თავის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში პირნათლად გაითავისა, რომ ჯიში, ადამიანის გენეტიკური კოდი, წინასწარ განსაზღვრულია პიროვნებისათვის. მართალაცდა განა მარტო წრთვნა, რას შველის, თუ ბუნებამაც არ უშველა. პიროვნებებად, ლიდერებად, ერისკაცებად არ ყალიბდებიან, ისინი ღვთის ნებითა და წყალობით იბადებიან... მთავარია შეიმეცნო, რომ განმსაზღვრელი აქ ხარისხი, შინაარსია და არა ფორმა. ჭეშმარიტება მუდამ იმით არის საინტერესო, რომ იგი მუდამ აქვეა, თქვენს გვერდით. გადამწყვეტია, ჩვენ გვქონდეს სურვილი მისი მსახურებისა. უიმედობა, ეს ცხოვრების დასასრულს ნიშნავს, იმედი კი, ეს სიცოცხლეა... დიდი ალექსანდრე მაკედონელის მემატიანე გვამცნობს, რომ ერთხელ იმპერატორს ნისლიან ღამეს ტყეში გზა აებნა და სრულიად უცხო მხარესა და გარემოში მოხვდა, იმედი არ დაკარგა და, რადგან არაფრის კეთება არ შეეძლო, ადგილობრივ ჯარში ჩაეწერა რიგით ჯარისკაცად. როცა ერთი თვის მსახურების თავზე გასამრჯელო აიღო, დახედა მონეტებს და მათზე მისივე უდიდებულობის, იმპერატორ ალექსანდრე დიდის გამოსახულება ნახა. ასეთია ცხოვრება, ის მუდამ წრეზე მოძრაობს და არავინ იცის აღსასრული.

ბატონი ვაგნერი როცა დაიბადა, გარე სამყაროსთან პირველსავე შეხებისას, სააქაოს პირველსავე შეგრძნებისას, ნაბიჯის გადადგმისას ტიროდა, ახლობლები, გარემოცვაში მყოფნი კი სიხარულითა და ბედნიერებით იცინოდნენ, ისე უნდა იცხოვრო, რომ სააქაოდან ზეციურ სასუფეველში გარდასვლა-გარდასახვისას, ახლობლები განშორებით გამოწვეული სულისა და გულის ტკივილის გამო ტიროდნენ და შენ კი ვალმოხდილი, ღირსეული ცხოვრებით ამაღლებული, ზეციდან ღიმილით დასცქეროდე მათ. ზნეობა, სულიერება, პატრიოტიზმი გაქრება, რაც მტრის და მოშურნის ოცნებაა, თუ ჩვენ სისტემატურად, შეგნებულად არ ვიზრუნეთ მათი შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად, რადგან მტერმა იცის, რომ ამ ღირებულებების გარეშე მყოფი ხალხების მუხანათურად მართვა-გამგებლობა ადვილია, რამაც უნდა დაგვაფიქროს... არადა, „ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს“ (ვაჟა-ფშაველა). დაიქუხა კიდეც... 2012 წლის ოქტომბერის არჩევნებში... საბედნიეროდ, ჭყონდიდელი გვყავს ილია II აღმაშენებელის სახით ესაა დავით აღმაშენებელის მოლოდინში ვართ ერიც და ბერიც კარგახანია.

გვახსოვდეს რომ ბოროტებას არა აქვს სიმღერა, იგი მუდამ ტირის, თავისი ცოდვების გამო. ეს სიკეთეა რომ მღერის ამაღლებული სულიერებით, უანგარო სიყვარულით, გაბრწყინებული და აღმაშენებელი. თუ გინდა იყო გამარჯვებული, შენ თავთან მართალი და ბედნიერი... სარწმუნოებამ, უქარქაშო ხმალმა მათ შორის, ცოდნის ხმალმა, წიგნმა და გუთანმა გვატარა ისტორიულად და დღემდე მოგვიყვანა ქართველობა. გახსოვდეთ, დღეს სწორედ განათლება, წიგნია ქვეყნის საიმედოდ დაცვის გარანტი... გახსოვდეთ, უფალი იესო ქრისტე ადამიანებისაგან განსხვავებით, არასოდეს ტოვებს მის მიერ შექმნილ სახებას.

გახსოვდეთ, მოუსმინეთ და ყური მიაპყარით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღმაშენებლის ქვეყნისა და ერის სულიერი მამის და მოძღვრის სწავლებებს-ქადაგებებს. იმიტომაც რომ განსაცდელის ჟამს პატრიარქი პირველი იღებს დარტყმას თავის თავზე, რათა იგი აარიდოს ქვეყანასა და ერს, თვითშეწირვითაც კი. საქმენი საგმირონი კი რჩება, არასოდეს კვდება, რადგან ღვაწლი ხალხის გულში ცხოვრობს მარადიულად და იგი მუდამ უკვავია, რადგან მათზე გადმოდის უფლის სული წმინდის მადლი, რწმენისა და წყალობის ძალით უფლისავე სახლში – ტაძარში. ვისწავლოთ ერთმანეთის ხედვა, თუ გვსურს გადავრჩეთ ამ ულმობელ და ფათერაკებით სავსე ცისქვეშეთში. ხოლო რაც შეეხება ჩვენს გონებას, მას, ღვთის წყალობითა და ნებით, სულიწმინდის ტაძრად ქცეული ჩვენი გული უნდა მართავდეს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, თუ ჩვენ, გვსურს მუდმივად დავრჩეთ სწორედაც ადამიანებად. ამინ!

ასეთია ჩვენი გულმხურვალე და გულწრფელი ხედვა ღვაწმოსული იუბილარის – ბატონ ვაგნერ მხეიძისთვის დამახასიათებელი ავტოპორტრეტის გაანალ+იზებით დადასტურებულ-დამამშვენებლი. ჩვენდა გასახარად და იმედად. ამინ!

შენი სიყრმის მეგობარი
ნუგზარ ნადარაია ოჯახით
2016 წლის 4 მარტი
ქრისტეშობიდან
თბილისი, მცხეთა, ფაზისი.

---

*„ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის,*
*ბედნიერი ვარ მე”...*

## ელდარ მხეიძე -75

### შრომითა და სიკეთით გავლილი გზა



როგორ სწრაფად გაირბინეს წლებმა და სიმდიდრედ დაგვიტოვეს გარდასულ დღეთა ხალისი. თითქოს გუშინ იყო – სტუმარი და თეთრებში გამოწყობილი მასპინძელი, მამა უჩა მხეიძე, სამზარეულოში მოფუსფუსე დედა ქალბატონი გოგუცა, აქ სტუმარი ღვთის იყო და ასე იწყებოდა ღვთაებრივი აღზრდა. . იყო ბავშობა, იყო ჯარი, შიმშილიც და სიმაძღრეც. ომისა და მშვიდობის განცდა.

ამ თაობის დევიზი იყო შრომა და მოვალეობა ქვეყნის წინაშე.ისინი ომში არ ყოფილან მაგრამ იცოდნენ, რომ მათი მამები იყვნენ ომში-უჩა მხეიძე მთელი ცხოვრება ფეხით ატარებდა ყუმბარის ნამსხვრევებს, იცოდნენ, რომ ვერ დაბრუნდა ვიღაცის მამა, ძმა ან შვილი,მათ ცხოვრებაში სამუდამოდ შემოიჭრა ,,გაფრინდი შაო მერცხალო”,- ეს ტკივილი და პასუხისმგებლობაა სამშობლოს წინაშე. იშვიათია პიროვნება ასე რომ აწვალებდეს ფოთელობის განცდა. მისი წარსულის და მომავლის შეგრძნება. ელდარ მხეიძეს მასპინძლობის ტრადიციებისთვის არასდროს უღალატნია, გვერდში ედგა ქალაქის ხელმძღვანელობას, როგორც მისი ძმის ვაგნერ მხეიძის ოჯახს არ აკლდა დიდი სტუმრობა, ისიც ინაწილებდა ამ ფუნქციას. ასევე იშვიათად მინახავს ასეთი ძმობა. სიყვარულით ამაღლებული, თუმცა, ოჯახური ბედნიერება შეირყა დიდებული მეუღლის იზო კვარაცხელიას მოულოდნელი გარდაცვალებით. ის იყო ,,დედა ლამაზად შვილის გამზრდელი”. ერთადერთი ქალიშვილის ნანა მხეიძისა. მოგვიანებით შვილიშვილები ავსებდნენ მის ლამაზ ცხოვრებას. ოჯახს ეამაყება დიდებული სიძე რეზო შულაია, წარმატებული ბიზნესმენი, კარგი მოქალაქე და ნამდვილი ცოტნეიდელი-ჩვენი ძმა და მეგობარი.

სულ სხვა ეშხი, ლაზათი და მიმზიდველობა ჰქონდა ქალბატონ იზოს მასპინძლობას, მეგრული სამზარეულოს მესაიდუმლე, ყველას გვენატრება.

თუმცა, თავს ზემოთ ძალა არაა და ვცდილობთ ბატონ ელდარს ეულად არ ვაგრძნობინოთ თავი და ისევ ძველებურად მოვილხინოთ . სხვათაშორის შვილიშვილები ძალიან გვანან ბებიას და გვიხარია რომ აქაც ძაფი არ წყდება სიკეთისა და სტუმართმოყვარეობის.

ელდარ მხეიძემ მოკრძალებით აღნიშნა 75 წლის იუბილე, ჩვენც გვსურდა ქალბატონი იზო რომ ყოფილიყო მის გვერდით, სხვა სილამაზე, სხვა ეშხი ექნებოდა ამ სუფრას და ეს იუბილე ნამდვილ დღესასწაულად გვექცეოდა.

და მაინც-იყო ლამაზი სადღეგრძელოები ცნობილი თამადის ვაგნერ მხეიძისა, იყო სიხარულიც და სევდაც ,,საით წასულან ჩვენი მეგობრები”...

ამ დიდ ოჯახში პატარა საქართველო დავანებულა თავისი წარსულითა და მომავლით, რწმენითა და აღმაფრენით.

მალე გაზაფხული მოვა- სიცოცხლე გრძელდება ჩვენო ელდარ, კიდევ ბევრ სიკეთეს უნდა მოესწრო შენი ოჯახის, შენი ქალაქის, რომელიც გულით გილოცავს იუბილეს.

დაე, მრავალგზის გეთქვას დიდი ბარათაშვილის სიტყვები ,, ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე!

## ეკა ბესელია-,,რუსთავი 2-ს ” : არაფერი საქმე არ არის ჩემს ოჯახში და კატეგორიულად გაფრთხილებთ კითხვას არ დასვათ ამ თემაზე!



“ყველა ზღვარს ცილდება ის დაუსრულებელი თავდასხმები , რასაც ეს ტელევიზია აკეთებს ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ! ასე ეხმაურება სოციალურ ქსელ აცებოოკ-ის პირად გვერდზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია ”რუსთავი 2”-ის ეთერში გასულ სიუჟეტს ” საჭიროდ ჩავთვალე ერთადერთი და მოკლე კომენტარი გავაკეთო დღეს რუსთავი 2 ის მიერ მომზადებულ მორიგ ზღვარგადასულ სიუჟეტზე: არსებობს ბევრი ფორმა თურმე შავი პიარის, თავდასხმის , უწესობის და ა.შ ყველა ზღვარს ცილდება ის დაუსრულებელი თავდასხმები , რასაც ეს ტელევიზია აკეთებს ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ! და ამას წლებია აკეთებს! ცილისმწამებლური სიუჟეტები ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების წინააღმდეგ, იაფფასიანი ჭორებით და მდარე სცენარით მოფიქრებული ისტორიები, ჩემმა შვილებმა, ოჯახის წევრებმა წლების განმავლობაში რაც მე პოლიტიკაში ვარ უამრავი ტკივილი მიიღეს სწორედ ამ ტელევიზიით. არ დაგვკლებია ამ ტელევიზიიდან თავდასხმები არც მე, არც ჩემს არასრულწლოვან შვილს, ჩემს ასაკოვან მამას და არც ოჯახის სხვა წევრებს და მგონია უნდა ხვდებოდნენ სად გადის ზღვარი ეთიკურ ნორმებზე, როგორც ჩანს არა! არ დასრულდა ეს პერსონალური შეტევები ახლა უკვე მეორე სიუჟეტი მოამზადეს, რომ თურმე სკანდალური (ამ სიტყვას ხშირად იყენებენ მეტი სიმძაფრისთვის) პირადი ცხოვრების კადრები ჩვენმა მთავრობის წევრებმა გაავრცელეს, ამაზე მეტი უზნეობა რა უნდა იკადროთ? თუ დაგავიწყდათ შეგახსენებთ, რომ თქვენი ტელევიზიით ვრცელდებოდა სააკაშვილის მმართველობის დროს უკანონო ჩანაწერები- ყოველ დღე სხვადასხვა შინაარსის, არჩევნების წინა დღეებშიც ჩვენი საუბრები მონტაჟით ყველამ ვიცოდით ვინც ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმს რომ გვითვალთვალებდნენ, დაგვსდევდნენ, წერდნენ ყველგან, ოჯახში, სამსახურში. ვიცოდი მაგრამ არასოდეს დამიხევია უკან და ასეთ შანტაჟებს არასოდეს შევუშინებივარ. ყველამ ვიცოდით თუ ამას ვინმე აკეთებდა იყო სააკაშვილის მანიაკალური რეჟიმი. და მარტივად ვამბობ – თქვენი ტელევიზია ამას აგრძელებს დღესაც. არაფერი სკანდალური არ არსებობს ბუნებაში, ასევე არაფერი საქმე არ არის ჩემს ოჯახში და კატეგორიულად გაფრთხილებთ კითხვაც არ დასვათ ამ თემაზე!!! ,,რუსთავი 2” ავკრძალეთ დიდი ხანია ჩვენს ოჯახში, ეს ტელევიზია შეურაცყოფს მთელ მედიას, მორალურ ზიანს აყენებს ჩემს ოჯახს და შვილებს.. თქვენს შვილებსაც პირადი სივრცე იმიტომ არის დაცული ყველა კანონით, რომ იგი ხელშეუხებელია და თუ ამას აკეთებს ვინმე, დაისჯება კიდეც! უნდა დასრულდეს ამ თემით სპეკულაცია. ამ თემაზე ეს ჩემი ბოლო კომენტარია!”,-წერს ეკა ბესელია

უცხო სამყაროში

## ნორჩ შემოქმედთა საახალწლო - საშობაო გამოფენა



ქალაქის საგამოფენო (დარბაზი დირექტორი **გოგი გაგუა**) კარგა ხანია იქცა ფოთის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. აქ სისტემურად ტარდება ფოთელი თუ სხვა რეგიონის გამოჩენილ მხატვართა გამოფენა – გაყიდვა, მხატვართა მასტერკლასები, მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრულ ნამუშევართა გამოფენა-კონკურსები, სადაც ხდება გამარჯვებულთა დაჯილდოება, აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიებები ტრადიციულად ტარდება, საახალწლოდ და საშობაოდ. წელს მასში მონაწილეობდა ქალაქის 8 საჯარო სკოლის 156 მოსწავლე-აქედან კომპეტენტური ჟიურის მიერ შერჩეულ იქნა 22 საუკეთესო ნამუშევარი. გამოფენა გახსნა საგამოფენო დარბაზის სამხატვრო განყოფილების უფროსმა **იზოლდა ლოლუამ**. კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს ქალაქის მერის მოადგილემ **გიორგი მოისწრაფიშვილმა** და ქალაქის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა **დავით შეროზიამ**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის ხელმძღვანელობა, საჯარო სკოლების პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები, და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიება ჩატარდა თბილ და მიმზიდველ გარემოში. ასეთი გამოფენა-კონკურსები ხელს უწყობს ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენას, მათ წახალისებას, სულიერი ესთეტიკური აღზრდა-სრულყოფას.



აქ გამოვლენილი ნიჭიერი მოსწავლეებით ივსება სამხატვრო სკოლისა და სამხატვრო სასწავლებლების კონტიგენტი.

მხატვარი და ქველმოქმედება

## ,,ფონდი 2015” გამოფენა - გაყიდვის ინიციატორი



6 თებერვალს ფონდი ,,ქველმოქმედი 2015”-ის ინიციატივით ფოთის საგამოფენო დარბაზში მხატვარ ქეთევან ჩიჩელაშვილის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. აღნიშნული გამოფენა – გაყიდვა 8 წლის ავადმყოფი მოზარდის ლუკა გოგელიას დახმარებას ითვალისწინებდა,

ფონდი ,,ქველმოქმედი 2015” რამდენიმე თვის წინ დაფუძნდა იამზე გორგოტაძის მიერ და ამ მცირე ხნის განმავლობაში რამდენიმე ოჯახს დაეხმარნენ. ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მცხოვრებ მარტოხელა, უმწეო მოხუცებსა და სოციალურად დაუცველ ობოლ ბავშვებს და შემოწირულობებით შესაბამისად უზრუნველყოს მათზე მზრუნველობა და დახმარება. ფონდის დევიზი გახლავთ-,,ერთად ვაქციოთ სიკეთე და ქველმოქმედება ცხოვრების წესად”. ფონდმა დაფუძნებიდან 3 თვის მანძილზე შეძლო სოციალურად დაუცველი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი 50-მდე ოჯახის დახმარება-შეშით, ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით. 3 თვეში მოინახულეს თანადგომის სახლის 2015 ბენეფიციარი, უნარშეზღუდულთა დღის ცენტრის 26 ბენეფიციარი, მიუსაფარ ბავშვთა ცენტრის 10 ბენეფიციარი და მიუსაფარ მოხუცებულთა 55 ბენეფიციარი. ფონდის მოხალისეთა რიცხვი 100-ზე მეტს შეადგენს. მხარდამჭერთა რიცხვი კი (მათ შორის ხელოვანები, მედიცინის მუშაკები და სხვა) დღითი-დღე იზრდება.

გამოფენის გახსნის დღეს იამზე გორგოტაძემ თანადგომისთვის მადლობის სიგელები გადასცა საქართველოს ფოლკლორისა და მხატვართა კავშირის წევრს, არაერთი თანამედროვე მულტიმედიური ხელოვნების თანამონაწილეს და თვითნასწავლ მხატვარს ქეთევან ჩიჩელაშვილს.

ასევე მადლობის სიგელი გადაეცა ფოთის საგამოფენო დარბაზის დირექტორს გოგი გაგუას თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, ასევე სტუდია ,,თეთრ თოლია”-ს წარმომადგენელმა ზაალ გეფერიძემ შეიძინა უცხოეთში მოღვაწე ფოთელი მომღერლის გელა გურალიას ფოტო და ფონდს 8 წლის მოზარდის დასახმარებლად გადასცა 300 ლარი, გამოფენა-გაყიდვაზე სულ შეგროვდა 1013 ლარი, რომელიც სრულად გადაეცემა მოზარდის ოჯახს.

## ლევან ცხვიტავა



### დედა

სამი ვაჟი გამოზარდა დედამ,
ვალს ოდესმე გადვიხდით ნეტა?
შვილის კვნესა ძილშიაც ჩაესმის,
ძველებურად ისევ გვიცქერს ღამით
მინდა ისევ მოფერება შენი
ვიგრძნო შვება თუნდაც ერთი წამით
დე, შენ ხარ ჩვენი
ამა ქვეყნის ზურმუხტი
და ლალი, ის ძვირფასი
ბრილიანტის თვალი.
შენ ერთი ხარ ქვეყანაზე
დედა ღვთისმშობლისა დარი,
ვამაყობთ და თან დაგვყვება,
დედა ვითარც ფარი,
დამერწმუნეთ არვინაა ქვეყანაზე
მისი შემცვლელი ქალი.

### გურჯი ხანუმა

თვალებმ ხაცუნა
გურჯი ხანუმა
სადღა წასულა,
სად დამალულა,
გადამალულა,
ვისღა უნახავს
სად დაუნახავთ
ვერ დაგინახავთ
რათ არ გინახავთ
ორი მოსულა
სამი მოსულა
ყველა წასულა
გურჯი ხანუმა
ორსულად მოსულა!

### მარტო

ჯორჯ ბაირონი, შექსპირი, გოეთე
ოდესღაც ფიქრობდა ამათზე პრომეთე
ილია, ვაჟა, აკაკი და ცურცაველი
ცაოკლარჯეთს და ქაჯეთის ციხეებს
იხსნებს რუსთაველი.
მეფე დავითის დრო დაბრუნდება,
გვირგვინს დაიდგამს ქართველი ისევ.
ქართველნო! ჩვენ ვისღა მივხედვთ.
აღარც დოლარი და აღარც ნატო
საქართველოვ, ღმერთია
ჩვენთან მარტო!

## ლირიკა

დავით ჩირგაძე

*უძღვნი, თბილისის, ნატალია კვანტალიანის სახელობის ცენტრალურ ბანკს და ქალბატონ ნატალია კვანტალიანს ვულოცავ დაბადების დღეს*

დაფიქრებად ღირს,
ვარდებს ამკობს ნამი,
წვეთი ბროლის ქმნის,
სურვილს შენაჯერებს,
რის შენდობას ელის
გული საფიცარი,
ეფერება ნამი
აფეთქებულ ვლებს,
აჰ! ამ ვნების მიღმა,
კვლავ სურვილის კვალზე,
მზეა გადმომდგარი,
ნაზი,- საოცნებო
ის, სურვილს არ ნიღბავს,
თავის გარიჟრაჟზე,
ეფინება ვლებს,
ნამი წილად ერგო.
ვითარ, სისხლის მზარდი,
მიმოქცევა გვიმხელს,
კარჩაკეცილ წრეში,
ცეცხლი სულს ინახავს,
ცეცხლის პირობებში
გული მზეს ივიდებს,
რაც სიცოცხლეს ეცრფის,
სისხლის წვეთი გახლავს.
ნამი გულს არ იხსნის
მანამ მზე თაკარა,
არ გადაიხარა,
და არ გაიხარა
სურნელებით წიწვის,
როს, ღრუბლების თავზე,
მზე, სიამით სავსე გადაეფინება,
სად სივრცეთა თაღზე,
ცრფობის იალაღზე
სული გრძნობით დნება.
ვით, სივრცეთა მირაჟს,
თვით უკვდავი სული
ეურთდება ლაღად,
სად მთებს მოუწყინარს,
გზებით დანისლულით
გული დაუდაღავთ.
კვლავაც მხურვალება...
ნამი სახეს იცვლის.
კვლავაც გარინდება,
თითქოს ვნებას იწვევს.
როს ხალისი ცისკრის,
ნამის მღელვარებას
მკლავზე გადაიწვენს.
კვლავ სურვილის ხელში,
მზიურ გარიჟრაჟზე,
ნისლოვანი ეშხით
ქროლვა ციდან-ცაზე.
ქარიშხალის ხმაზე
ხან ნიავის ქნარზე
ცის კიდეთა მოვლა,
ხანაც, მარტოდ-მარტო,
ხანაც, მთების გროვად
სივრცე მუდამ ფართო,
სულის გამოწრთობად,
დააქროლებს ცაზე,
სად ქუხილის ხმაზე
გაიელვებს ცივად,
თითქოს ღრუბლებს ცაზე
მეცად შეაცივათ.
აემურძგლათ მეწვი
ცხვრებსა შიშისგანა,
ყურები სულ ეწვით
თვალი დაენამათ,
მზეო! სად ხარ, სად ხარ.!
დაგვანახე თავი,
გუგულობა გახლავს
ელვით განასხლავი
გზები, სადაც ახლა
მიმაქროლებს განცდა
მიჯობს თავის დახრა,
გული დამიმარცხდა,
ლამის, ისე შევკრთი,
თუმც სიამის განცდას
მაინც მხნედ ვამხელდი.
ისევ ჭექა-ქუხილს
ელვა მწყრალი მოზდევს.
ხელს არავინ უშლის,
აღარავინ გოდებს,
მხოლოდ ღრუბლებს ფიცხლად
დაეღრუბლათ სახე,
გარდასახვის წამი
ხარობს, სურვილს ამხელს.
როს, დაეშვა ციდან,
მძივად, სახე ბროლის,
ვარდებს თითქოს ცრიდა
ალი შემოდგომის.

*სევდიანი ფიქრები*

*ქალთა გენოციდზე საქართველოში*

# ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დედობა დიდი ვალია



მსოფლიოს არცერთ ქვეყანას ქალი-დედა, მეუღლე, და, მეგობარი და მოქალაქე ისეთ სიმაღლეზე არ აუყვანიათ, როგორც საქართველოში,უძველეს კოლხეთში, სადაც თვით ბერძნებამდე ადრე ქალის უკვდავი ქანდაკებები ამშვენებდა კოლხეთის ემპირიონს-ფაზისს. ჯერ კიდევ როდის იყო გრძნეული მედეა გატაცებული კოლხეთიდან, ვინმე ელენე ტროადან, ჯერ კიდევ როდის მიგვაპყრობდა მზერას ღვთისმშობელი, ჯერ კიდევ როდის დაიწერა ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადიაო”. ასე იყო დფასებული ქალი იმ არადემოკრატიულ სამყაროში, დღეს კი დემოკრატიით ტვინგაბურდულებს ხელიდან გვეცლება ქალი- ქვეყნის ბურჯი და საყრდენი, ,,აბა ვინა თქვა უდედოდ გაზრდა ვაჟკაცის კარგისა”. ჩვენ ისეთები ვართ როგორებადაც გვზრდიან ჩვენი დედები, მერედა სად არიან ისინი, ოჯახებისგან შორს, თურქეთში, წინათ რომ გვაწიოკებდნენ და გვტაცებდნენ მთელს მსოფლიოში სილამაზით განთქმულ ქალებს, დღეს თავად გარბიან და მოსამსახურეებად უდგებიან. იქ სადაც ოჯახები ინგრევა, ინგრევა სახელმწიფოც და სამწუხაროდ, ამას უფრო შინაური მტერი აკეთებს ვინემ - გარეშე.

ესაოდა ქალის თავისუფლებაო, ერთსქესიანთა ქორწინებაო, რის ღმერთი და რწმენაო, არადა ღმერთმა იმიტომ გააჩინა ქალი, კცი უყვარდეს, კაცი კიდევ იმიტომ მოავლინა ქვეყანას ქალი გაალმერთოს-მხოლოდ ქართველი თუ ეტყოდა ქალს -,,მე რა ღირსი ვარ შენი მშვენების”, ღირსებიდან ინსტიქტებამდე დავედით, გაუფასურდა ქალი როგორც დედა, როგორც მეუღლე.

დღე არ გავა - ცოლ-ქმრის ცემა-ტყეპის ფაქტი რომ არ გვამცნონ, თითქმის ნახევარი სამშობლო საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ვერ მოვუარეთ ჩვენს ქალებს, ვერ ვივარგეთ, ვერ ვიკაცეთ და კაცებსაც გათხოვებისაკენ უჭირავთ თვალი. ისე, რა ღმერთი გაგვიწყრა, ვის ვბაძავთ, ვის ვემონებით. საფლავში გადაბრუნდება აღმაშენებელი, შოთა, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე, ქეთევან წამებული. სად არიან სულით ძლიერთა შთამომავალნი რწმენას თავს რომ სწირავდნენ. სად არიან ღვთისმსახურებით ამაღლებული ქალები. ღმერთმა ხომ ისე აამაღლა ქალი ღვთისმშობელი გახადა, ეს რა ეშმაკი ჩაუსახლდათ, ასე რომ განდევნეს ზნეობრივი ღირებულებანი და უკეთურობით, სიბილწით თვითგანადგურების გზას დაადგნენ და დაავიწყდათ წმინდათა-წმინდა ეკლესიური მოვალეობა, სულიერი განწმენდილლობის. სულ სხვა ცნობიერების ნაპირებისკენ გარიყა ჩვენი ქალები წამხდარმა ცხოვრებამ, მავანთა დამღუპველმა იდეოლოგიამ დააკარგვინა მოვალეობის გრძნობა, ცხოვრების მიზანი და ამოაგდო დედა-შვილობის ერთიანი ბუდიდან.

ძეგლად ქცეულ დედებს როგორ ამკობენ ე. წ. პოლიტიკოსები, როცა ქართლის დედის ხმალს ფალოსს, ხოლო თასს -კი საშოს ადარებენ, ეჭვი გვეპარება ასეთ კაცს მართლა ყავდა დედა?იყო, ალბათ, ვიღაც ბიოლოგიური არსება, სწორედ მაგათ სააკიანის მეთაურობით მოუწყვეს ქართველ ქალებს გენოციდი, ეს მომაკვდინებელი ტალღა ჯერაც არ შენელებულა და გვართმევს ქართველ ქალებს, თითქოს ისევ ყიდიან ტყვეებს, შორიდან ჩამესმის ჩემი გვარისა და სისხლის ყივილი.

სამძიმარი მინდა ვუთხრა ქვეყანას -სადღაა ცოლი და დედა?-ქალი წავიდა სხვისასა.

და მიჭირს დალევა ქართველი ქალის სადღეგრძელოსი-ამ ვითომ საზეიმო დღეებში. ჩვენი ჯიშის და გენის, ქართული ფენომენის გაგრძელება თქვენს ხელშია, ნუ მოკლავთ, გემუდარებით, ნუ მოკლავთ საქართველოს. ამ იმედით-მაინც გილოცავთ დედისა და ქალის დღეს -ამ გაზაფხულის პირზე სიცოცხლის სუნთქვა, რომ მოაქვს ქართულ მიწაზე.

ზ. აბრალავა

---

## დიდი იუბილე

*რეზო თარგამაძე – 80*



დღეს, ასე დინჯად რომ დააბიჯებს აღმაშენებლის ქუჩაზე ბატონი **რეზო თარგამაძე** სწორედ ღვთის წყალობის შედეგია.

ნამდვილად დიდი იუბილეა 80 წელი. თითქოს ბევრია, მაგრამ არც ისე ბევრი, ამბობენ 80 წლის შემდეგ იწყებაო სიბერე, და ჩვენც ბატონ რეზოს გვინდა მივულოცოთ სიბერის დაწყება.

დაე, მუხლებში ძალა და გონება ასეთივე მტკიცე და ლაღი ქონდეს, როგორც დღეს აქვს.

არადა რამდენი რამეა გასახსენებელი, რამდენი დღეებია გავლილი 96 კვირა და 28 800დღე.

1936 წლის 13 თებერვლიდან იწყება მისი ბიოგრაფიის ათვლა. 13 თითქოს თარსი რიცხვიაო, მაგრამ რეზოსთვის მას ბევრი სიკეთე მოუტანია.

ბავშვობა, როგორც ყველა ბავშვის, ისე მისი ბავშვობაც ლურჯი ფერებით იყო შეფერადებული. მამა რკინიგზელი მუშა იყო, მემანქანე. დედა დიასახლისი. იზრდებოდა პატარა რეზიკო მშობლების სითბოთი გარემოსილი, რასაც ასე ხშირად იგონებს, დაამთავრა რკინიგზის საშუალო სკოლა, უმაღლესი და დაიწყო შრომითი იერარქიის კიბეზე აღმასვლა. იგი ჩამოყალიბდა როგორც წარმატებული სამეურნეო მუშაკი. წლების განმავლობაში იყო გაზის ტრესტის მმართველი, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თავმჯდომარე. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი.

მისი ხელმძღვანელობით დიდი აღმავლობა განიცადა ფოთის გაზის ტრესტმა და რომ არა 90-იანი წლების მოვლენები ვინ იცის როდიდან იქნებოდა ფოთი გაზიფიცირებული ქალაქი, რომელსაც დღესაც არ დაადგა საშველი და ნახევრად გაზიფიცირებულია.

**რეზო თარგამაძე** გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით და ინტელექტით. შრომის მოყვარე, მუხლჩაუხრელი, მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობით აღსავსე. აი, ასეთად იცნობენ მას ფოთის საზოგადოებაში. ოჯახის მოსიყვარული, მეუღლე, მამა და ბაბუა.

მეუღლე- ლილი ბარბაქაძეს, როგორც პედაგოგს დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ქალბატონი ლილი დაჯილდოებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის პროფტექგანათლების პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და მინიჭებული აქვს დამსახურებული პედაგოგის წოდება.

ბატონ რეზოსა და ლილის შრომით საქმიანობაზე და ღვაწლზე არაერთხელ დაწერილა ფოთის საქალქო გაზეთ ,,ფოთის კოლხეთის” ფურცლებზე.

იმდენად განუზომელია მათი ღვაწლი ქალაქისა და ქვეყნის წინაშე, რომ ისინი იმსახურებენ ფოთის საპატიო მოქალაქის წოდებას.



### ,,და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე”...

როგორც ჩვევია ბატონ რეზოს, მან თავისი დიდი იუბილე მოკრძალებულად აღნიშნა მეგობრულ გარემოში რესტორან ,,ძველ გემზე”, სადაც მეგობრებმა არ დაიშურეს ტკბილი სიტყვები და სადღეგრძელოები.

ღმერთო დიდხანს აცოცხლე ეს ღვთისმოსავი და ფოთზე და სამშობლოზე შეყვარებული დიდბუნოვანი კაცი.

ღმერთი ფარავდეს მას და მის ოჯახს.

მეგობრები

---

*საფლავში გადაბრუნდებიან ჩვენი წინაპრები*

# საქართველო და ერთსქესიანთა ქორწინება?



**ეტყობა შორს არაა ეს დრო, როცა მოგართმევენ მოსაწვევს-გიწვევთ გიორგის და გივის ქორწილში, ან ნანას და ნინას ქორწილში- რა ხასიათზე დადგები, ეს აკლდა ისედაც ყოველმხრივ დაქცეულ ქვეყანას. (ერთნაირებს კი არა, ორ სხვადასხვას არ გამოსდის არაფერი).**

**არა, წარმოუდგენელია ასეთი რამ საქართველოში, ეს არის ეროვნული პრინციპების უარყოფა, საბოლოო დასამარება. აქ ჩანს მისი როგორც განუმეორებელი ერის ხასიათი, ტრადიციები, მისი სილამაზე, ქრისტიანულ მრწამსთან იდენტურობა, საქართველოს არასდროს გახდება სოდომ-გომორი, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს იგი კუზიანების ქვეყანას, ოკიანების გადმელებს, ასე რომ უტევს სტიქია გამუდმებით, როგორც რაღაც იდუმალი ნიშანი გაფრთხილებისა. ჩვენ კი თავი დაგვანებონ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. თავიანთი უამრავი ფონდებით შენიღბულები რომ ესხმიან თავს პატრიარქს, დედაეკლესიას, ეს მართლაც ეშმაკის მოციქულები.**

**ნათქვამია, შეძახილით ხე გახმაო, და ეს კარგად იცის მავანმა, თორემ ვისაც უნდა სადაც უნდა იქ უტეხია კისერი, მაგრამ ამათ სხვა მიზნები ამოძრავებთ - ახალგაზრდობის გარყვნა. ეს მეცნიერების და განათლების მინისტრი ლამის მეათე კლასელს რომ დაემგვანა, რომელი მეცნიერი ეგაა, ფილოსოფოსი ან ფსიქოლოგი, ამ გაუგებარ სიახლეებს რომ გვთავაზობს ღიად თუ შეფარულად-ბავშვებს უფლება აქვთ თავად აირჩიონ სქესიო... იმის მაგივრად რომ ასწავლონ ბიბლია, ცხოვრების უპირველესი წიგნი, სადვთო-მარადიული, ასწავლონ რუსთაველი, ილია, აკაკი, საქართველოს მრავალტანჯული ისტორია.**

**მოკლედ, ეს და უამრავი სხვა დასავლური თემა, საჯილდაო ქვად გვექცა-მივიღებთ კანონს ერთსქესიანთა ქორწინებაზე (სხვა სიტყვა შეარჩიონ მაინც) ქართველობა აჯანყდება, არ მივიღებთ და ამერიკას ეწყინება, ევროპა ზურგს შეგვაქცევს, მავანთაც ფული, კარგი ცხოვრება, თანამდებობაც მოაკლდება. სამწუხაროდ, მარტო არასამთავრობოები არ იკვებებიან უცხოური ძუძუთი-პარტიები, პარლამენტარებები, ვინც მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ კანონებს და სექსუალური სახელმძღვანელოების შემოღებას, და ვისთვისაც საქართველო სამშობლო კი არა ტერიტორიაა მუდმივად რომ უნდა მოაჭრა მსუყე ნაწილები.**

**საბედნიეროდ, აქა-იქ გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც თქვეს, რომ ოჯახი, ეს ქალისა და კაცის ერთობა არისო (სხვა მხრივ ვერ გამრავლდება ერი).**

**ყოველივე ეს კონსტიტუციით უნდა იქნეს გამყარებული, თქვა პრემიერმა ღარიბაშვილმა და თანამდებობაც დაატოვებინეს ამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ის ის იყო დაეუფლა სახელმწიფოებრივ აზროვნებას, სამართლიანობით და პირდაპირობითაც გამოირჩეოდა.**

**შემდეგ მას მიყვა სანდრო ბრეგაძე და იმანაც დატოვა თანამდებობა. ახლა ჩვენი ყურადღება იქეთკენაა მიპყრობილი გაბედავს კი პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე ზემოაღნიშნულის დაკანონებას?-ვიღაც ყოყმანობს, ვიღაცას კი გამბედაობა ყოფნის. რა ჭირთ, ნეტავ თუ მართლა ქართველები არიან?**

**ზ. ნარაძე**

,,მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა”

## ნინო ლაკიას ხსოვნას



ქალბატონი **ნინო ლაკია** იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ხალხის სიყვარული მიაცილებდა ცხოვრების გზაზე. მისი დაუღალავი შრომა, მოყვასისადმი თავდადება, ორგანიზატორული ნიჭი, ფოთელთა დიდ პატივისცემასა და მადლიერებას იმსახურებდა. მან თავისი ეპოქის ცხოვრებით იცხოვრა, იყო ეს კომკავშირი, პარტია თუ ქალაქის ხელმძღვანელის პოსტი, ყველგან ლიდერის თვისებით გამოირჩეოდა და მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითი იყო იმისა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში. იგი მოწინავე საზოგადოების მხარდაჭერით ფოთის მომავალს ქმნიდა- ქალაქის და ნავსადგურის ინტეგრაციის გზით, რაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს დაირღვა.

მავანთ უჭირთ იმ ეპოქის ადამიანთა ღვაწლის აღიარება, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს სამშობლოსათვის თავგამოდებული ადამიანის შრომას, რისთვისაც ბევრჯერ დაუმსახურებია ფოთელთა აღიარება, მათ შორის ყველაზე უფრო ეამაყებოდა ფოთის საპატიო მოქალაქეობა. განვლილი გზის გამო ქალბატონ ნინოს თამამად შეეძლო ეთქვა, - ,,მე თქვენ მიყვარდით, მე თქვენ გემსახურეთ, როგორც შემეძლო.”

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნინო ლაკიამ გაავლო სამეგობრო ბილიკები საზღვარგარეთ ფოთთან დაძმობილებულ ქალაქებთან, რომელთანაც ურთიერთობა ახალ რეალიებს სახავდა, მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ფოთთან იყოდაკავშირებული, მის განვითარებასთან, მიუხედავად კომუნისტური ეპოქის შეზღუდულობისა, მან შექმნა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მოღვაწე ქალის სახე. ის იყო დიდი მეგზური ქალაქის სიყვარულში, იყო ფაზისქალაქის სინდის-ნამუსი, განმსაზღვრელი და ტონისმიმცემი, საზოგადოებას განაწყობდა სიკეთის კეთებისაკენ, საერთო საქმის წარმატებისაკენ.

როგორც ხის სიმაღლე იზომება ფესვებიდან, ადამიანის ნაღვაწიც წარსულით იზომება და ეს ნაღვაწიც საკმაოდ დიდ პარამეტრებს მოიცავს და უკვდავყოფს თვით პიროვნებას.

ნინო ლაკიამ წარმატებით იმუშავა ქვეყნის ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის პროფკავშირული ორგანიზაციის ლიდერადაც და ხალხისათვის სასიკეთო რეფორმებიც განახორციელა. იგი ყოველთვის იყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში და ყოველთვის თავის ღირსეულ სიტყვას ამბობდა.

ფოთელები მუხლს იყრიან ფოთისთვის მუხლჩაუხრელად მებრძოლი ქალბატონის წინაშე და სიყვარულით აცილებენსამუდამო გზაზე - დიდი გალაკტიონის სიტყვებით:,,მიდიხარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა”...

**ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო**

,,კარგსა რაღა კლავს სიკვდილო, განა შენც არა კვდები?”...

## გოგი ფაჩულიას მონატრება



ნუთუ საფლავისთვის გავჩნდით ამ ქვეყნად, სად გაქრა ერთი კარგი კაცის სიცოცხლე-რა მალე დამთავრდა ცხოვრება, არადა, რამდენი კარგი საქმე დარჩა დაუმთავრებელი. იქნებ, სინანული დაეუფლა-,,რად მოველ ადამიანად, რად არ მოვედი წვიმადა”...

ღვთის ნებაა ყველაფერი, ღმერთამდე მისასვლელი გზაა რწმენა და იცოდა მან როდის იღება სამოთხის კარი.

ღმერთმა ყველაზე დიდი რამსიყვარული დაანათლა, სიყვარულით იცხოვრა, წავიდა ჩუმად, უხმაუროდ და შეგვახსენა, რომ ადამიანები უკვდავები არა ვართ. რა სიშორეა ჩვენს შორის, რა დიდი ტკივილია განშორების, ერთი წელი გავიდა დარდიანი წელი, საფლავთან შევიკრიბეთ ახლობლები- ჭიქა ღვინო და ყვავილები, სხვა რა დაგვრჩენია- ,,რაც მიწის იყო, მიწაზე დარჩა და რაც ცის იყო წავიდა ცისკენ”... შვილიშვილმა გულზე გადაურბინა ბაბუას,სიცოცხლე გრძელდება-შვილები, შვილიშვილები...

მოგვიანებით სუფრასთან შევიკრიბეთ, მადლობას უხდის მეუღლეს თანაცხოვრებისათვის მანანა ტაბაღუა-ფაჩულიას-ღმერთმა ქალი იმიტომ გააჩინა, რათა კაცი უყვარდეს, კაცი –კი იმიტომ მოავლინა ამქვეყნად, რომ ქალი გააღმერთოს”. გოგი ფაჩულია მიყვებოდა ამ ბიბლიურ შეგონებებს, რამდენი რამ არის მოსაგონარი - დედ-მამასოფელი, სტუმრობა, დიდი სუფრები, და აქ დასტირის გოგის, ძმა ამერიკიდან გლოვობს და შორეთიდან გვეხმიანება. ფეხზე ამდგარი ვსვამთ განუყრელი მეგობრის ჯამალ ჩხენკელის მოსაგონარს-იქაც ერთად არიან ეს მართლაც ღვთისნიერი კაცები, მეგობრობის ეტალონად რომ დარჩნენ და დიდ მაგალითებს რომ აძლევდნენ ახალგაზრდობას-ძმობის, სიყვარულის და გატანის, დღეს რომ ასე აკლიათ ადამიანებს. ღვთიური მრწამსი ასულდგმულებდათ, ღმერთი ხომ სიყვარულია, იგი გვაერთიანებს ერისა და ქვეყნის სამსახურში.

იშვიათია კაცი სამართალდამცავ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის პროკურორად ემუშაოს და ასე უყვარდეს ხალხს, ალბათ, მიზეზი სამართლიანობა, კაცობა და სიყვარული იყო.

კარგი კაცი დააკლდა ოჯახს, ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, ქალაქს და ქვეყანას, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითი იყო ხალხისთვის უანგარო მსახურებისა. უყვარდა, სწამდა და მაღალი ღმერთი თავის ადგილს მიუჩენს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ . ჩვენ კი მუდამ პატივს მივაგებთ მის ხსოვნას. ჩვენ გვერდით იქნება ჭირსა თუ ლხინში და იქიდან შემოგვძახებს და გაგვამხნევებს მისებური ღიმილით, იუმორითა და მჭერმეტყველებით, ღირსეული ცხოვრებით ზეცად ამაღლებული.

მეგობრები

## იური ესებუას ხსოვნას



კაცის გზა ბედისწერააო თითქოს, რაღაც გარდაუვალი, როცა **იური ესებუას** ცხოვრებას ღრმად ჩასწვდები მიხვდები, რომ მართლაც ეს ბედისწერა იყო.

ბატონი იური სახლში, სამსახურში თუ ფოთის საზოგადოებაში დიდი სიყვარულითა და სითბოთი იყო გარემოსილი და როცა ასეთი კაცები, ახალგაზრდები მიდიან ამ ქვეყნიდან, მაშინ მწვავედ ვგრძნობთ დანაკლისს, რამეთუ იგი არა მარტო ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს დააკლდა, არამედ ქალაქს დააკლდა. არ იყო იოლი ამ შეფასების დამსახურება ახალგაზრდა კაცისათვის.მაგრამ მან ეს შეძლო თავისი უბრალოებით, ერისშვილობით, კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით. და, რაც მთავარია მართლმადიდებლობით.

ფოთელებს კარგად ახსოვთ მისი უანგარო დახმარება, მხარდაჭერა გაჭირვების ჟამს, რაც დღეს სამწუხაროდ იშვიათობაა. სწორედ დღეს სჭირდება ქვეყანას მისნაირი ვაჟკაცები. გარეგნობითაც ამართლებდა გამოთქმას ,,ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო”.

### რა იცი კაცი სად წაიქცევი, თორემ იმ გზაზე სულ არ გაივლი...

**იური ესებუა** უნარიანად ხელმძღვანელობდა თავისივე შექმნილ კომპანიას ,,ფოთი კარგო სერვისს”. კაცობა და ნდობა იყო მისი სავიზიტო ბარათი. შორეული ფაზისიდან მოდიოდა, ესებუების ჯიშისა და გენის შთამომავალი სამწუხაროა რომ ასე უდროოდ ჩაქრა მისი სიცოცხლის ლამპარი. ვერ გაუძლო ცხოვრებასთან ჭიდილს. ძნელი იყო მისთვის დღევანდელი ყოფის ატანა. ორპირობა, სიცრუე, ღალატი, რაც დღევანდელი სინამდვილის თანმდევია. ამიტომაც გაცლა ამჯობინა. ,,სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი.”

სიცოცხლე იმას ნიშნავს რასაც მუდამ ნიშნავდა,ოღონდ ისაა გულდასაწყვეტი როცა ადრე წყდება იგი. მან ხომ სულ 50 წელი იცოცხლა, წინ კი დიდი ცხოვრების გზა ედო. მართალია მამა, ქალაქში ცნობილი მშენებელი, **ჰამლეტ ესებუა** სულ ახლახან მიაბარა მშობლიურ მიწას, მაგრამ დედა, დედა დატოვა გულმკვდარი და თვალცრემლშეუმშრალი. მეუღლე, შვილები რომელთაც სწორედ ეხლა ჭირდებოდათ მეუღლისა და მამის ხელი. ძნელია დატოვო ღვთის ანაბარა შენი უსაყვარლესი ადამიანები, მაგრამ ბედისწერას ვერსად გაექცევი და ვერც იური გაექცა, მიუხედავად მისი მტკიცე ხასიათისა.

ღმერთს ებარებოდეს ბატონ იურის ჭეშმარიტად ალალმართალი და სპეტაკი სული.

ღმერთი ფარავდეს მის ოჯახს.

მეგობრები.

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

## იაშა კოდუას ხსოვნას



კიდევ ერთი ღვაწლმოსილი კაცის, კარგი ქართველის, მამულიშვილის, გამორჩეული ინტელიგენტის სული შეუერთდა მარადიულ საუფლოს. მისი ცხოვრება მთლიანად მიეძღვნა ქვეყნის სამსახურს, ხალხის კეთილდღეობას, ამის სამაგალითოდ ეს ჩამონათვალიც კმარა. ,,კოლხიდმშენის” საწარმოო პოლიგონის კაპიტალური რეკონსტრუქციის უფროსი, აბაშა-გეგეჭკორის წყალთამეურნეობის სამმართველოს უფროსი, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე, აბაშის რაიონის მეორე მდივანი, ამავე რაიონის აღმასკომის საბჭოს თავმჯდომარე. ტრესტ ,,ფოთიგაზის” მმართველი, იაშა კოდუას ღვაწლი ორდენებით და მედლებით აღინიშნა სხვადასხვა დროს, ბატონი იაშა იყო მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, კარგი მცოდნე, თავისი საქმის, მას ჰქონდა შორეული ხედვის უნარი, ეს იყო კაცი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ყოველგვარ პირადულზე ამაღლებული, მას არ ასვენებდა ფოთის საჭირბოროტო საკითხები, ის რომ ქალაქი ზურგით იდგა ზღვიდან, ხშირად იტბორებოდა ქალაქი, მოძველდა წყალსადენ-კანალიზაციის სისტემა, სათანდოდ არ გამოიყენებოდა ბუნებრივი რესურსები, ზღვა, პალიასტომი, ჩამკვდარი იყო მრეწველობა, სხვა დარგები, რითაც ცნობილი იყო ფოთი.

ეს იყო კაცი ზრდილობის, პატიოსნების განსახიერება, კაცთმოყვარე, გვერდში მდგომი, გამტანი და უღალატო. ბატონი იაშა ყოველთვის იყო პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და ყოველთვის თავის სიტყვას ამბობდა. ყველგან სადაც იმუშავა ხალხის სიყვარული და პატივისცემა მიაცილებდა.

მართლაც ბედნიერება იყო ასეთი გამორჩეული ადამიანის გვერდით ყოფნა, ცხოვრება, საქმიანობა.

ბატონ იაშას სანიმუშო ოჯახი ჰქონდა და თავადაც სანიმუშო თავკაცი იყო, რომელსაც თამამად შეეძლო ეთქვა ,,აი, ეს ჩემი ოჯახი, ჩემი ციხე და კარია”.

ამას წინათ ავტობიოგრაფიული წიგნი ჩამოგვირიგა მეგობრებს, თითქოს გაცოცხლდა ეპოქა, მოვარდა სუნთქვა გარდასულ დღეთა. იგი, როგორც კარგი სპეციალისტი, ვიეტნამშიც იყო მიწვეული და საოცარი სიზუსტით აღწერს იქაური ადამიანების ყოფა-ცხოვრებას. წიგნში ბევრი საყურადღებო თემებია წამოჭრილი. კარგი ანალიზი აქვს განვლილი გზის და მიმართულება სახვალიოდ საკეთებლისა.

ასეთი დიდებული ადამიანების წასვლა, მართლაც რომ დიდი დანაკლისია. მიუხედავად ასაკისა, ბოლომდე შერჩა საღი აზროვნების, განსჯის უნარი და იმ ქვეყნადაც საქაოს დარდი მიყვებოდა, თითქოს დავიწყებოდა საკუთარი სატკივარი. აკი ბიბლიაც შეგვახსენებს ,,სამშობლო იწყება არა, მაშინ როცა იბადება, არამედ მაშინ, როცა კვდება. სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება”, ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ჭიქა ღვინით და საფლავთან მიტანილი ყვავილები, მშვიდობით, ,,მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა”.

ფოთის საზოგადოება, მეგობრები

**ხსოვნა**

## ტრისტან ჩემინავა

### კაცი ფოთელთა საუკეთესო თაობიდან



წუთისოფლის ბრუნვას ვერავინ შეაჩერებს, ხელიდან გვეცლებიან კარგი ფოთელები. რაც მით უფრო შესამჩნევია არეულ დროში, როცა კარგი ვაჟკაცების სინაკლებეა და მამულიშვილური გრძნობებიც მინავლებულია, თითქოს სულ სხვა იყო ტრისტან ჩემინვას და მისი თაობის ფოთი-კოხტა, ლამაზი, დიდებული, განათლებული, პატრიოტი, ურთიერთზე შეყვარებული, ურთიერთ გამტანი. ფოთელები განთქმული სტუმართმოყვარეობით, ვაჟკაცობით, საქვეყნოდ გამოირჩეოდნენ და დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ დედაქალაქში. ფოთელები გვესტუმრნენო, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ეს სიყვარული იმ თაობამ დაიმსახურა, რომელსაც უკან დახევა არჩვეოდა, რომელიც უზნეობას, კაცის, მით უფრო სტუმრის უპატივცემულობას არ გაპატიებდა, სტუმარი იყო ერთგვარი საზომი იმ თაობის ცხოვრების- სტუმარი ღვთისააო იტყოდნენ და ის სტუმარიც ისეთივე კეთილშობილი ხდებოდა როგორიც მასპინძელი. მიმტევებელობაც არ იყო უცხო მათთვის, ეს ხომ დიდი კაცების თვისებაა.

ტრისტან ჩემინავამ გასული საუკუნის ფოთში აიდგა ფეხი, აქ გაირბინა მისმა ბავშვობამ და სიყმაწვილემ. მთელი მისი ცხოვრება სპორტთან იყო დაკავშირებული და აქაც გამორჩეული იყო-კარგი მოკრივე, საქართველოს ჩემპიონი, საკავშირო სარბიელზეც წარმატებული, თითქმის 30 წელი იმუშავა ავტოსატრანსპორტო საწარმოში, ყველა პატივს მიაგებდა, როგორც კეთილ, გვერდში მდგომ და სამართლიან პიროვნებას. მუდამ ძლიერი და გამორჩეული სუსტს არავის დააჩაგვრინებდა, წაქცეულს ფეხზე დააყენებდა, მისმა თაობამ არ იცოდა ეროვნების გამოირჩევა. აქაც ამოსავალი კარგი კაცობა, კარგი ფოთელობა იყო. შეკითხვაზე ,,ეროვნებით ვინა ხარ”- რუსი, ბერძენი თუ სომეხი იტყოდა მე ფოთელი ვარო.

კარგი მეოჯახე, მამა, ბაბუა, მუდამ მშვიდი, წყნარი, თავისი სიმშვიდით ისეთ შენიშვნას მოგცემდა, რომ თავად უნდა მიმხვდარიყავი. ძალიან წყინდა ბოლოდროინდელი მოვლენები, გაჭირდა ცხოვრება, ვერ მოვუარეთ ჩვენს ქალაქებს, ნახევარი საქართველო უცხოეთში გადაიხვეწა, ოჯახებს დედა დააკლდათ. მისი შვილი გოჩა ჩემინავა - ნავსადგურის პროფკავშირების თავკაცი იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო სამუშაოდ, ამასაც განიცდიდა მამა.

შრომაში, კაცობაში, სიყვარულში გაილია ერთი კარგი ფოთელის წუთისოფელი.

,, ბინდისფერია სოფელი-
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება”..

წავიდა ჩუმად, უხმაუროდ, ,,ეს გზა მეც ვიცი საითკენ მიდის, შენ მხოლოდ ის გზა, ის გზა მითხარი”...

ეს გზა, რწმენით, კაცობით ღვთისაკენ მიდის, ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

მეგობრები,

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა